სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 21 იანვარი 2006 №12 (2634) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იშოვით ჩერნიშოვით?

თბილისის დინამოს წარუმატებელი გაიხსენა

აფრიკამ ევროპა გააფითრა

რა შუაშია საქართველო?

უკვე რამდენიმე დღეა, ევროპულ კლუბებს კაცნაკლულობა დაეტყოთ, რისი მიზეზიც ეგვიპტეში გუშინ დაწყებული აფრიკის ერთა თასია.

ევროპული კლუბები წუწუნებენ, რომ აფრიკელებს მეტად უდროო დროს უნდებათ კონტინენტის უმთავრესი შეჯიბრის ჩატარება, რაც მათ ფეხბურთელებს ართმევთ. თუმცაღა თავად აფრიკელებს ეს ამბავი სულაც არ ანაღვლებთ, რაკი ოდითგან დადგენილა, რომ აფროთასი ზამთარში უნდა ჩატარდეს. აბა, ივნის-ივლისში სამ მეოთხედ აფრიკას ტროპიკული წვიმა ფარავს და თამაში შეუძლებელია.

შეჯიბრი, როგორც მოგახსენეთ, გუშინ გაიხსნა და ცერემონიალი აფრიკული ხარისხისა იყო — ანუ გვარიანად ჩამორჩებოდა მსგავს ევროპულ ღონისძიებებს. გახსნას კი, რაღა თქმა უნდა, მოჰყვა გახსნის მატჩი, რომელშიც მასპინძელმა ეგვიპტემ ლიბია 3:0 დაამარცხა.

რა გასაკვირია, რომ დაამარცხა: ეგვიპტე თასის მოგების ფავორიტთაგანია, მალტის ტურნირზე საქართველოს ნაკრების შესაძლო მეტოქე ლიბია კი უსუსტესი მონაწილე. თამაშიც სათანადო იყო — სუსტი თავს იცავდა, ძლიერი უტევდა, მაგრამ თავსაც დიდად არ იკლავდა.

ჩვენი ფიქრი კი ამ თამაშის ცქერისას სხვა მიმართულებით წავიდა: ეგვიპტეს ჰყავს კარგ ევროპულ გუნდებში მოთამაშე სახელიანი ფეხბურთელები, მაგრამ ერთად რომ შეიკრიბებიან, ძალიან უბრალო და ჩვეულებრივ ფეხბურთს თამაშობენ.

მოკლედ, რაღაც ძალიან მტკივნეულად ნაცნობი და ახლობელი გაგვახსენდა...

ჩერნიშოვი ჩამობარგდა
რუსმა დინამოს ასაშენებლად ინჟინერიც წამოიყვანა

დაიბადა 1968 წლის 7 იანვარს.

თამაშობდა მოსკოვის „დინამოში" (1988-91, 1993-94), მოსკოვის „სპარტაკში" (1992-93), ავსტრიულ „შტურმში" (1995-1996), ბერძნულ პაოკ-ში (1996-97), გერმანულ „ფიურტში" (1997), ბელგიურ „ანტვერპენში" (1998), მოსკოვის „ტორპედოში" (1998), ავსტრიულ „ლეობენში" (1999), ავსტრიულ „ბლაიბერგში" (2000), ყაზანის „რუბინში" (2001).

რუსეთის ჩემპიონი (1992), რუსეთის ვერცხლის პრიზიორი (1994), საბჭოთა კავშირის ბრინჯაოს პრიზიორი (1990), რუსეთის ბრინჯაოს პრიზიორი (1993). ქვეყნის თასის მფლობელი (1992). ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული (1990).

საბჭოთა კავშირის, ესნგესა და რუსეთის ნაკრებებში ჩაატარა 9 მატჩი.

2002-2005 — რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

გუშინ თბილისში ანდრეი ჩერნიშოვი ჩამოვიდა, საქართველოს ჩემპიონის, თბილისის „დინამოს" შესაძლო ახალი თავკაცი. თუმცა რაღა შესაძლო, იმდენი ბარგი ჩამოიტანა, ვეჭვობთ, აქ ერთი-ორი დღისთვის იყოს. ესეც რომ არა, ანდრეი ჩერნიშოვს ორი თანმხლებიც ჩამოჰყვა — თანაშემწე და ვიდეო-ინჟინერი.

მოკლედ, „დინამო"-ჩერნიშოვის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ეს საქმე, ფაქტობრივად, მოგვარებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მცირე საორგანიზაციო საკითხები და, კონტრაქტსაც ხელი მოეწერება.

ამბობენ, რომ ანდრეი ჩერნიშოვის „დინამოში" ჩამოყვანა პირველი ნაბიჯია იმ გზაზე, რომელსაც თბილისელები დაადგნენ და მალე გუნდი ალბათ უცხოელი ფეხბურთელებითაც გაძლიერდება, რაც შინაურ თუ ევროსარბიელზე წარმატების იმედს ზრდის.

... ანდრეი ჩერნიშოვი ნაშუადღევს ჩამოფრინდა, საქართველოს ვიზა მან და მისმა მეგობრებმა აეროპორტშივე მიიღეს და იქვე მწვრთნელის პირველი თბილისური კომენტარიც მოვისმინეთ...

— თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელებს პირველად მოსკოვში შევხვდი და შესაძლო სამომავლო თანამშრომლობაზე ვისაუბრეთ. როგორც ხედავთ, ახლა თბილისში ვარ, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, ჩემი ჩამოსვლა „დინამოს" მწვრთნელობას არ ნიშნავს, კლუბის ხელმძღვანელებთან დღეს-ხვალ კიდევ მოვილაპარაკებთ, რაც, იმედია, კონტრაქტზე ხელმოწერით დამთავრდება. ასე რომ, ცოტაც მოვითმინოთ.

— მოსკოვში ესნგეს ტურნირზე „დინამოს" თამაშის შეფასება ჩემგან არაკორექტული იქნება. თუმცა ცხადი იყო, ფეხბურთელებს სასურველი ფორმა ბოლომდე აღდგენილი არ ჰქონდათ. ახლა მოსამზადებელი პერიოდია და ეს გასაკვირიც არ არის.

— თბილისში ჩემი თანაშემწე ანდრეი დიმიტრიევი და ვიდეო-ინჟინერი სერგეი კარასიოვი ჩამომყვნენ. „დინამოსთან" კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში ჩვენ ერთად ვიმუშავებთ და ვიმედოვნებ, წარმატებასაც მივაღწევთ.

ანდრეი ჩერნიშოვს „დინამოს" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე და სპორტული დირექტორი ამირან ღიბრაძე დახვდნენ და აეროპორტიდანვე დიღმის საწვრთნელ ბაზას მიაშურეს. კლუბსა და მწვრთნელს შორის საბოლოო მოლაპარაკებაც გუშინვე უნდა დაწყებულიყო და დღეს უკვე ანდრეი ჩერნიშოვი, ალბათ, „დინამოში" პირველ ვარჯიშს ჩაატარებს.

ცნობისთვის: ანდრეი ჩერნიშოვის თავკაცობით რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ქართველი თანატოლები ორჯერ დაუმარცხებია — თბილისში 3:0, მოსკოვში 3:1.

თბილისის „დინამო" ამ თვის ბოლომდე მზადებას დიღმის საწვრთნელ ბაზაზე განაგრძობს, თებერვლიდან კი ორი კვირით კვიპროსზე გაემგზავრება.

ბონა ინასარიძე

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XX ტური

პსვ 2:0 ვალვაიკი

II დივიზიონი. XXVI ტური

აპელდორნი 2:1 დორდრეხტი

კამბური 1:1 ემენი

ექსელსიორი 1:2 ჰაარლემი

დენ ბოსხი 3:1 მაასტრიხტი

სიტარდი 2:3 ჰელმონდი

ტელსტარი 1:1 ოსი

ვეენდამი 2:3 ვოლენდამი

ვენლო 0:1 ალმერე

თურქეთი

სუპერლიგა. XVIII ტური

ფენერბაჰჩე 3:0 გენჩლერი

ინგლისი

ჩემპიონატი. XXX ტური

კრ. პალასი 1:1 რედინგი

კონფერენსლიგა XXVI ტური

გრეივსენდი 2:0 ძონვი

გერმანია

II ბუნდესლიგა. XVIII ტური

ალემანია 3:1 აუე

ბურგჰაუზენი 2:1 ფრაიბურგი

მიუნხენი 0:0 ალენი

იტალია

სერია C1/A XIX ტური

მონცა 0:1 პრო სესტო

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIII ტური

კაენი 2:1 ლავალი

შატორუ 0:0 ბრესტი

დიჟონი 3:0 სეტე

გრენობლი 0:0 გენგამი

გენიონი 0:0 რეიმსი

ისტრი 1:1 კლერმონი

ლე ავრი 1:1 ამიენი

მონპელიე 0:0 კრეტეი

ლორიანი 0:0 სედანი

ბელგია

იუპილერლიგა. XIX ტური

ბრიუგე 3:0 ბრიუსელი

პორტუგალია

სუპერლიგა. XIX ტური

ჟილ ვისენტე — ბენფიკა

გვიან დამთავრდა

თანამეგობრობის თასი 2006

ნახევარფინალი

ცსკა (რუსეთი) 1:1დ.დ. (პენ. 4:5, 1:1) *კაუნასი (ლიტვა)*

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, პორტუგალიაში საერთაშორისო ტურნირზე წასასვლელად გამზადებულ ახალგაზრდულ ნაკრებში ზესტაფონელ გოგი ფიფიას ლოკომოტიველი გიორგი ყიფიანი ჩაენაცვლა. ცნობაში ცვლილების მიზეზზე არაფერი იყო ნათქვამი და განმარტებისთვის ახალგაზრდულის მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილს მივმართეთ...

როგორია ტოპის კრიტერიუმი?
ჟორჟიკაშვილი ნაკრებს გაცხრილავს

— რატომ გამოაკლდა ფიფია ნაკრებს?

— გოგის გარკვეული პრობლემები შეექმნა და ამის გამო გიორგი ყიფიანი გამოვიძახეთ.

— ფიფიას პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ შეექმნა?

— არა, ვიზასთან დაკავშირებით.

— როდის მიფრინავთ პორტუგალიაში?

— 23 იანვარს, დილის ოთხის ნახევარზე ამსტერდამში გავფრინდებით, იქიდან კი ლისაბონში. გარდა უშუალოდ ტურნირისა, პორტუგალიაში ორ ამხანაგურ შეხვედრასაც გავმართავთ. ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაცია შეგვპირდა, რომ პორტუგალიის 19-წლამდელთა ნაკრებთან და რომელიმე სოლიდური კლუბის ახალგაზრდულ გუნდთან თამაშს გაგვიხერხებს. თბილისში 5 თებერვალს დავბრუნდებით.

— 5 თებერვალსვე გეგმავს ჩამოსვლას კლაუს ტოპმიოლერიც, რომელმაც ნაკრების წევრობის კანდიდატთა გაფართოებული სიაც უნდა განიხილოს. თქვენ მონაწილეობდით ამ სიის შედგენაში?

— რა თქმა უნდა, მეც მაქვს სია, რომელშიც ბევრი ფეხბურთელი წერია. ისეთებიც, არასოდეს რომ არ უთამაშიათ ნაკრებში.

— ტოპმიოლერს თითოეული ფეხბურთელის პიროვნული და პროფესიული დახასიათება უნდა წარუდგინოთ?

— პირველ რიგში, მაინტერესებს, რა კრიტერიუმების მიხედვით სჭირდება მას ფეხბურთელთა დახასიათება. სიის გაცხრილვაც ამის მერე დაიწყება.

— ალბათ პორტუგალიური ტურნირიც დიდწილად დაგეხმარებათ ამ საქმეში...

— ამ ბიჭებს მშვენივრად ვიცნობ და ვერ ვიტყვი, რომ პორტუგალიაში მათზე რაიმე ახალს შევიტყობ. ეს ტურნირი ემსახურება გუნდის უკეთ მომზადება-შეთამაშებას ოფიციალური მატჩებისთვის, რომლებიც მაისში გვიწევს.

— საკლუბო საქმეები როგორ მიდით? ნაკრებმა „ზესტაფონი 2"-ს კარგა ხნით მოგწყვიტათ...

— გუნდის მზადების გეგმა ერთობლივად შევიმუშავეთ და ახლა „ზესტაფონი 2" ჩემი თანაშემწეების მეთვალყურეობით ვარჯიშობს. თან მთავარი გუნდის მზადების გეგმაში დუბაიში ან კვიპროსზე შეკრების გავლაც შედის და ამ შეკრებაზე „ზესტაფონთან" ერთად დუბლშემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელიც გაემგზავრება — ისინი, ვისაც ახლო მომავალში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პერსპექტივა აქვთ.

გიორგი ნოზაძე

მელქაძე თავს გერმანიაში იპოვის

საქართველოს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ლევან მელქაძე თბილისის „დინამოდან" აიბარგა და მეორე ბუნდესლიგის „ზაარბრიუკენში" წავიდა. „დინამომ" მელქაძე სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა, დანარჩენზე კი გერმანელებს ზაფხულში მოურიგდება — მერე ფეხბურთელი „ზაარბრიუკენში" ან დარჩება, ანაც „დინამოში" დაბრუნდება.

მელქაძემ საქართველოდან წასვლა სწორედ წინა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გადაწყვიტა, ამბობდა, საქართველოში რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოვიგე, ჩემპიონიც გავხდი, საუკეთესო ფეხბურთელიც და ახლა უკვე აქ თამაშის სტიმული დამეკარგაო. განწყობა, რა თქმა უნდა, ამ თავდამსხმელის შედეგიანობაზეც აისახა, ჩემპიონატის პირველ წრეში მელქაძემ ერთადერთი გოლი გაიტანა, საუკეთესო ფორმისგან აშკარად შორს იყო, თავს არ ჰგავდა და გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დაკარგა.

ახლა კი მელქაძე ძველებური შემართებით ვარჯიშობს და მეორე ბუნდესლიგაში წარმატებისა ეიმედება.

შეგახსენებთ, ლევანს უცხოეთში ადრეც უთამაშია, ის იტალიური სერია B-ს „სიენაში" დავით დიღმელაშვილთან ერთად იყო. მელქაძის ახალი გუნდი კი ამჟამად მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია.

ბონა ინასარიძე

გიორგი ფოფხაძე თბილისში ბრუნდება

კონტრაქტი არა, მაგრამ დუბლები შესაძლოა

პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ გიორგი ფოფხაძეს გასინჯვაზე უხმო და აგერ სამ კვირაზე მეტია, თბილისის „თბილისის“ მცველი საბერძნეთში იმყოფება. ეს იძლეოდა იმედს, რომ ქართველი ფეხბურთელი ელადაში ფეხის მოკიდებას შეძლებდა. მით უმეტეს, „ოლიმპიაკოსმა“ გიორგისთან ერთად გასინჯვაზე მიწვეული სამი ფეხბურთელი უკვე დაიწუნა.

გუშინ ფოფხაძესთან საბერძნეთში დაკავშირებას უშედეგოდ ვცდილობდით და დახმარებისთვის ჩვენს ძველ დოსტს, „სკაი სპორტის“ ბერძენ კორესპონდენტ ფოტის ვოინიკასს დავუკავშირდით. ჩვენი თხოვნით, იგი „ოლიმპიაკოსის“ წარმომადგენლებს შეეხმიანა და საკმაოდ მოულოდნელი ამბავიც გვაცნობა...

— კლუბის რამდენიმე წარმომადგენელს ვესაუბრე. როგორც მითხრეს, ფოფხაძესთან კონტრაქტის გაფორმება არ იგეგმება. შესაძლოა, მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეორე გუნდში დარჩენა შესთავაზონ და დაკვირვება განაგრძონ. ჩემი ინფორმაციით, ფოფხაძე საქართველოში დაბრუნდება — გვითხრა ფოტის ვოინიკასმა, არადა, ყველაფერი თითქოს ფოფხაძის სასარგებლოდ მიდიოდა.

ვნახოთ, ახლა ჯერი „ოლიმპიაკოსის“ მთავარ მწვრთნელ ტრონდ სოლიედზეა.

გიორგი ნოზაძე

გიგიაძემ მეკარეს ვერ გაასწრო

კრივორიოგელი ქომაგების გამოკითხვით, 2005 წლის „კრივბასის“ საუკეთესო ფეხბურთელი 326 ხმით მეკარე მაქსიმ სტარცევი გახდა. მას ოდენ სამი ხმით ჩამორჩა ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე, რომელსაც საქართველოს ნაკრებში ერთადერთხელ უთამაშია — შარშან, 9 თებერვალს, ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში ალენ ჟერესმა შეცვლაზე ათამაშა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ამჟამად „კრივბასში“ გიგიაძესთან ერთად კიდევ ერთი ქართველი, ჯაბა კანკავა ემზადება — მისი ტრანსფერი ჯერ არ გადაწყვეტილა, თუმცა ვლადიკავკაზის „ალანიადან“ წამოსულმა ჩვენებურმა უკრაინულ გუნდთან ერთად უკვე ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა — მოსკოვის „სპარტაკთან“ კანკავამ 90 წუთი დაჰყო მოედანზე, მატჩი კი რუსებმა 1:0 მოიგეს.

კახა შალამბერიძე

ვასილ გიგიაძე მაქსიმ სტარცევს სამი ხმით ჩამორჩა

ლევან კობიაშვილმა (მარცხნიდან მეორე) და შალკელებმა მაღაროელობაც იკისრეს

ხუმარა მაღაროელები

ლევან კობიაშვილი 1 250 მეტრ სიღრმეზე

გელზენკირხენის „შალკე“ ბუნდესლიგის მეორე წრისთვის გამალებით ემზადება, თუმცა არც გართობაზე ამბობს უარს. ისე, არ ვიცით, რამდენად ვუწოდოთ გართობა რურის ოლქის მაღაროელების დახმარებას.

„შალკეს“ ფეხბურთელები ახალი მწვრთნელის, მირკო სლომკას თავკაცობით, 1 250 მეტრ სიღრმეზე ჩავიდნენ და თავიანთი სიმბოლური წვლილი დაიდეს მადნის მოპოვებაში.

ასეთი ორიგინალური იდეით „ხუმარები“ აღფრთოვანებულნი დარჩნენ და მაღაროელებს მომავალშიც დაპირდნენ გულწრფელ დახმარებას.

კახა შალამბერიძე

სასწორი ციურიხზეა

მარცვალაძეს აბუ-დაბიში მეკარეები აბრაზებენ

„ქართველი ფორვარდი ძალიან სწრაფია, საგოლე სიტუაციებს კარგად ულებს ალღოს, ანუ თავდამსხმელისთვის საჭირო თვისებები აქვს. საერთოდ, აბუ-დაბიში გასინჯვაზე მყოფი სამივე ფეხბურთელი მშვენივრად გამოიყურება, მათ დაუმატეთ მილევსკი, ალიევი, ელქადური, გუსევი, როტანი და კიევის „დინამოს“ მომავალი ნათელი ხდება“ — ამბობს უკრაინული გრანდის პრეზიდენტი იგორ სურკისი.

ჯერაც თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდ ოთარ მარცვალაძეს კიევის „დინამოში“ 17 იანვარს ჰქონდა დებიუტი და ტესტ-მატჩში „მოსკვა“ ააწიოკა. საინტერესოა, რომ ამ თამაშში ჩვენიანი ხუთ საუკეთესო კიეველს შორის მოხვდა ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლით.

ოთარის ვარაუდით, კიევის „დინამოს“ მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო ისრაელშიც თუ წაიყვანს შეკრებაზე, ალბათ, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ის უკვე ნაღდი დინამოელია.

ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი უკრაინელ ჟურნალისტებს იმასაც ეუბნება, კიევში თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, საქართველოში თითქმის ყველას უყვარს ეს გუნდიო.

„კიევის „დინამოში“ ჩემი აგენტის, რევაზ ჩელებაძის მეშვეობით მოვხვდი. აქ ყველა თბილად დამხვდა, გუნდში მამხნევებენ, უცხოობას არ მაგრძნობინებენ, ძალიან მეგობრული ატმოსფეროა. ანატოლი დემიანენკოს ჩემთვის განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, ვიცი, რომ გულდასმით მაკვირდება და მეც ყველა ღონეს ვხმარობ, თავი მოვაწონო. საქართველოსთან შედარებით, კიევის „დინამოში“ გაცილებით დიდი დატვირთვებია, მაგრამ მე ვიცოდი, სადაც მოვდიოდი. ყველაფრისთვის მზად ვარ“.

გუშინ კი კიევის „დინამომ“ აბუ-დაბიში მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ალმათის „კაირატთან“ 0:0 ითამაშა. დემიანენკომ მარცვალაძე ამჯერადაც შესვენების შემდეგ გაიყვანა მოედანზე, თუმცა კიევის „დინამოს“ ვებ-გვერდის ცნობით, ჩვენიანი არცთუ აქტიური ყოფილა. ოთარი ერთხელ აბობოქრდა, როცა ოცმეტრიანი დრიბლინგი კარში დარტყმით დაასრულა, მაგრამ „კაირატის“ მეკარემ იმარჯვა.

ახლა ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული, როგორ ითამაშებს მარცვალაძე მესამე ტესტ-მატჩში, რომელიც კიევის „დინამოს“ 23 იანვარს აქვს შვეიცარიულ „ციურიხთან“.

ილია ნანოგაშვილი

აბა, დილა იყიდება, დილა...

გორის „დილა“ მალე კერძო ინვესტორის ხელში იქნებაო, ყოველდღე ისმის. დრო გადის, ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე ერთი თვე დარჩა და „დილაში“ ოდენ ცხრა ფეხბურთელი ვარჯიშობს, აქედან მხოლოდ ხუთ მათგანს აქვს გუნდში დარჩენის სურვილი, დანარჩენებს კი უფულოდ ვარჯიშ-თამაში ყელში ამოუვიდათ. ეგაა, კლუბიდან გათავისუფლების ფურცელი ჯერ არავის მიუღია.

შიდა ქართლის გუბერნატორ *მიხეილ ქარელს* გუშინ დავუკავშირდით და გვითხრა, „დილა“ სახელმწიფო ტენდერზეა და სულ მალე ეშველებაო...

— კონკრეტულად რამდენ ხანში, ვერ გეტყვით, მაგრამ „დილა“ უთუოდ გაიყიდება. სჯობს, კერძო ინვესტორმა მიხედოს კლუბს.

— „დილას“ ყიდვის მსურველები უკვე გამოჩნდნენ?

— ჯერ ერთი განცხადებაა შემოსული, თუმცა დიდი შანსია, კიდევ გამოჩნდნენ მსურველები.

— დაახლოებით რა თანხაზეა ლაპარაკი?

— ჯერ ვერ გეტყვით, მალე გახდება ცნობილი.

— ითქვა, „დილას“ შეძენა შიდა ქართლის რეგიონის ქონების მართვის ორგანიზაციას სურდა 167 ათას ლარად...

— ეს ნაღდად ცრუ ინფორმაციაა.

ილია ნანოგაშვილი

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

მეკარიმის საუკეთესოები: პსვ და კოკუ

გოგა გახოკიძე ენსხედეში დაფასებული კაცია

კალაძე, კობიაშვილი და გერმანიაში მოთამაშე სხვა ქართველები, კიდევ არველაძე და გახოკიძე ჰოლანდიიდან — ამ ქართველ ფეხბურთელებს ვიცნობ და მათგან კარგი გუნდის გაკეთება შეიძლებაო, თქვა თავის პირველ თბილისურ პრესკონფერენციაზე კლაუს ტოპმიოლერმა. მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარსარდალი.

-გოგა გახოკიძის „ტვენტე" ჰოლანდიის ერედივიზიონში ახლა მე-12 ადგილზეა, მაგრამ გოგასთვის და ჩვენთვისაც მთავარი ალბათ ისაა, რომ შარშან ტრავმებისგან გათანგული ტვენტელი ახლა ჯანზეა და გუნდის ძირითადში ბოლო დროს სისტემატურად თამაშობს.

„მეთორმეტე ადგილზე უკეთესს ვიმსახურებთ, მაგრამ ახლა მცირე ჩავარდნა გვაქვს, თანაც ბოლო პერიოდში სამი-ოთხი წამყვანი ფეხბურთელი სულ დაშავებული გვყავდა. მე კი შარშანდელზე უკეთ ვარ, ფეხი ხანდახან თავს შემახსენებს-ხოლმე, მაგრამ ბოლო ხუთი მატჩია, 90-90 წუთს ვთამაშობ" — იმედიანადაა გახოკიძე.

ენსხედეს „ტვენტე" მეტწილად 4-4-2 სისტემით თამაშობს და გახოკიძე ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზეა გამწესებული. მას მთლიანად ფლანგის კონტროლი არ ევალება, ჯან-ლონეს მეტწილად შეტევას ახმარს, რაც მისი სტიქიაა, თუმცა ჰოლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში გოლი ჯერ არ გაუტანია.

„გუნდში ყველა ჯარიმას მე ვასრულებ. გოლის შეგდება ჯერ ვერ მოვახერხე, თუმც ჩემი ჩაწოდებული ჯარიმებით სხვებს გააქვთ, სულ შვიდი საგოლე გადაცემა დამიგროვდა" — ასეთია გახოკიძის მონაგარი.

ზეგ ჰოლანდიის ჩემპიონატის მე-20 ტურში „ტვენტე" ამსტერდამის „აიაქსს" მასპინძლობს. „ტვენტეს" სტადიონზე 15 000 მაყურებელი ეტევა და, როგორც გახოკიძემ გვითხრა, სტადიონი ყველა თამაშზე ივსება — კლუბი კი მალე ახალ, 25-30 ათასიან არენას აგებს.

„ამსტერდამელებთან ძნელი თამაში გველის, მაგრამ გარწმუნებთ, არც „აიაქსისთვის" იქნება იოლი მატჩი. ვეცდებით, დავამტკიცოთ, რომ მეთორმეტე ადგილი ჩვენთვის შეუფერებელია" — გვპირდება გახოკიძე.

ჩვენებურს მიაჩნია, რომ ჰოლანდიის ჩემპიონი პსვ გახდება: „ეინდჰოვენელები მხოლოდ ერთი ქულით უსწრებენ „ფეიენოორდსა" და „ალკმაარს", მაგრამ, ჩემი აზრით, ჩემპიონობის უკეთესი შანსი აქვთ".

გახოკიძეს ერედივიზიონის ფეხბურთელებშიც ჰყავს რჩეული: „ვფიქრობ, საუკეთესო პსვ-ის ფილიპ კოკუა, ის 35 წლისაა და ძველებურად ძალიან ძლიერია. ფორვარდებიდან კი საუკეთესოდ დირკ კუიტი, შოთა არველაძე და იან-კლასს ჰუნტელაარი არიან".

და ნაკრები?

„ტოპმიოლერის ხელში უკეთესობა აუცილებლად იქნება" — მოკლედ მოგვიჭრა გახოკიძემ.

დავით თაგართქილაძე

აბა, მუშტაიდში გვნახეთ...

„ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის მოედანზე გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი გაიმართა — ერთმანეთის პირისპირ „ბორჯომი" და თელავის „კახეთი" დადგნენ. ორივე გუნდის თამაშს ეტყობოდა, რომ მზადების ამ ეტაპზე მწვრთნელები ბურთთან ურთიერთობაზე მეტად, ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე აკეთებენ აქცენტს.

ბორჯომელებმა შოთა ჯიქიას (2) და მიხეილ მესხის გოლებით 3:1 იმარჯვეს.

„ბორჯომის" მოთამაშე-მწვრთნელმა იური გაბისკირიამ გვითხრა, რომ თვის ბოლოდან ისევ თბილისში მოაწყობენ შეკრებას. უახლოესი საკონტროლო შეხვედრა კი „ბორჯომს" 27 იანვარს თბილისის „დინამოსთან" ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა ქვეყნის ჩემპიონთა სამწვრთნელო შტაბში მომხდარი ცვლილებების გამო ჯერჯერობით უცნობია, გაიმართება თუ არა ეს შეხვედრა.

სოსო ფრუიძის გუნდს ყაზახეთიდან დაბრუნებული ლევან სანიკიძე დაემატა. ამას გარდა, „ბორჯომი" გორელი საბა სულთანიშვილით, ამერელი გივი ჩხეტიანით და სიონელი ერეკლე მერებაშვილით გაძლიერდა. მცირე ტრავმის შემდეგ გუნდს შეუერთდა ვლადიმერ გოჩაშვილიც.

არის დანაკლისიც: რევაზ გეწაძეს სამედიცინო გამოკვლევის შედეგად ორკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს და საუკეთესო შემთხვევაში, მომდევნო, თბილისურ შეკრებაზე დაემატება გუნდს.

გიორგი ნოზაძე

დაშლა-არდაშლა თუ დაშლა?

ჩიხურას პრეზიდენტი თავისას არ იშლის

საჩხერის „ჩიხურას" ვარჯიში არ დაუწყია, რამაც უკვე გამოიწვია ჭორი — ისიც ითქვა, გუნდი იშლება, რადგან სპონსორისგან ფული არ შემოდისო. ერთ-ერთი წყაროდან ისიც შევიტყვეთ, რომ „ჩიხურას" 2 000 ლარიც არ აქვს, რათა ჩასული ფეხბურთელებისთვის, ელემენტარულად, კვება უზრუნველყოს. გუნდის მწვრთნელმა ბადრი ბრეგვაძემ გვითხრა, არაფერი ვიცი, ჯობს, კლუბის ხელმძღვანელობას დაელაპარაკოთო...

თან რა დროს ხდება ეს ამბავი: „ჩიხურა" პირველი ლიგის ლიდერია და ცალი ფეხით უმაღლეს ლიგაშია. კლუბის პრეზიდენტმა, ნოდარ მეგრელიშვილმა მოკლედ მოგვიჭრა — „ჩიხურას" დაშლა მონაჭორია, კლუბის ხელმძღვანელობისგან ასეთი ხმა არ გამოსულა და ჩვენ გარეშე ვინ წყვეტს ამ ამბავს, ვერ გაგვიგიაო.

„დაფინანსებაზე შეფერხებები ადრეც იყო, მაგრამ, მგონი, არ დავშლილვართ. „ჩიხურა" 25-26 იანვარს შეიკრიბება და საკმაო დრო ექნება მოსამზადებლად. ის კი არა, გადაწყვეტილი ამბავია, რომ შეკრებას ბაკურიანში გავივლით" — გვითხრა გუშინ ნოდარ მეგრელიშვილმა.

„ჩიხურას" პრეზიდენტი 3-4 ფეხბურთელის დამატებაზეც ფიქრობს, თუმცა დასძენს, პირველ წრეშიც კარგი შემადგენლობა გვყავდა და უმაღლეს ლიგაში გადასვლა ისედაც არ უნდა გაგვიჭირდესო.

ილია ნანობაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
თანაუგრძნობს თბილისის
„მერანის" პრეზიდენტს
გენადი ქიქავას
დედის
გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული
ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებს
თბილისის „მერანის"
პრეზიდენტს გენადი ქიქავას
დედის
გარდაცვალების გამო

geo_geo_fan@hotmail.com

საკართანო

ბოლო ორ დღეში ჩვენი რუბრიკის მისამართზე მოსულ გულშემატკივართა წერილებში შესაშური ერთსულოვნებაა: ყველა, ვინც კი არ დაიზარა და თავისი მოსაზრება გაგვიზიარა, საქართველოს ნაკრებისთვის უცხოელი მეკარის ნატურალიზებას დადებითად აფასებს და ყველა მათგანი კლაუს ტოპმიოლერს უსაზღვრო იმედით უყურებს.

თუმცა არც ისეა საქმე, რომ საკამათო არაფერი იყოს, ხოლო რა არის საკამათო, ამაზე წყალბურთელის და კაკიჩის წერილების ნაკითხვის მერე მოგახსენებთ...

CKALBURTELI: *რა თქმა უნდა, აუცილებელია უცხოელი მეკარის ჩამოყვანა. მეკარე გუნდის ნახევარია. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება კარგი მეკარე. საქართველოში კიდე ნორმალური დონის მეკარეც არ გვყავს. ამიტომ ვფიქრობ, რომ უცხოეთიდან რომელიმე საშუალო ევროპული კლასის მეკარის ჩამოყვანა საუკეთესო ვარიანტია ჩვენი ნაკრებისთვის.*

KAKICH: *გაუმარჯოს „სარბიელს". ჩემ აზრს მოკლედ მოგახსენებთ. მივესალმები ნაკრებში უცხოელი მეკარის ჩამოყვანას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის 300 პროცენტით უფრო დამაჯერებლად ითამაშებს ვიდრე ქართველი მეკარე. ოღონდ ერთი რამაც მაინტერესებს — ეს აზრი რატომ წამოჭრა ფედერაციამ და არა მავალითად მწვრთნელმა, თუ უკვე წავიდა მწვრთნელის საქმეში ჩარევის პოლიტიკა?*

მოკლედ ჩემი აზრი ასეთია: ჯერ ბატონმა კლაუსმა გამოსცადოს ის მეკარეები, რომლებიც ჩვენ გვყავს და მერე ვილაპარაკოთ მეკარის პრობლემაზე. ამხანაგური მატჩები ზუსტად ამისთვის არის გამოგონილი, რომ ფეხბურთელი გამოსცადო და არა იმისთვის, რომ ვიღაც შენი პრესტიჟი ფულის დაანახო და მერე სარფიანად გაყიდო. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს პრობლემა მოიხსნება ქართულ ფეხბურთში, რადგან კლაუს ტოპმიოლერი შეუდგება თავის საქმიანობას.

P.S. „გაიოზ, გვიყვარხარ და გვენატრები".

განსხვავება, რაც ამ ორ წერილს შორის არის, მეკარის კლასია. პირველი ავტორი საშუალო ევროპული კლასის მეკარეზე ლაპარაკობს, მეორე წერილის ავტორი კი საუკეთესო ქართველ მეკარეზე სამჯერ უკეთესზე.

ჩემი აზრით, სამჯერ უკეთესობა (ან სამასი პროცენტით უკეთესობა, რაც ერთი და იგივეა) უკვე ძალიან მაღალი კლასის მეკარეობას ნიშნავს, ხოლო ასეთი მეკარე არა მგონია, „გაქართველებას" დათანხმდეს.

რაც შეეხება საშუალო ევროპული კლასის მეკარეს, დიდხანს შეიძლება ბჭობა, თუ რას ვგულისხმობთ საშუალო კლასში.

ხოლო კითხვაზე, ვის მოუვიდა პირველად უცხოელი მეკარის გაქართველების აზრი, გიპასუხებთ: ეს აზრი ფედერაციაში გაჩნდა, თუმცა ისიც ითქვა, როგორც ნაკრების მწვრთნელი იტყვის, ისე იქნებაო.

და დღეისთვის ბოლო წერილიც.

ZIZI-TOP: *ეს ის იშვიათი შემთხვევაა ქართულ ფეხბურთში, რომ მწვრთნელს თვალდახუჭული ვენდობი. ტოპი ძალიან მომწონს და იმედი მაქვს, მის ხელში რაღაც გვეშველება. ბოლო-ბოლო, ჩ6-ებს მაინც არ წავაგებთ ყოველ მეორე თამაშში. მეკარეზეც ვეთანხმები ტოპის და სხვა ცვლილებებზეც დავეთანხმები, რასაც ის განახორციელებს. მთავარია, ფედერაცია არ ჩაერიოს მის საქმეში. მოდით, ქართული ფეხბურთის მამებო, ერთხელ ახლაც ვცადოთ და ვნახოთ, რა გამოვა. არ გაინტერესებთ?*

სხვისი არ ვიცი და მე მაინტერესებს.

WEB-ოსტატი ბუარა

geo_geo_fan@hotmail.com

ჯოო... შე წამხდარო

ჩელსის ვარსკვლავს სიკვდილით ემუქრებიან



შავ დღეშია „ჩელსის“ ნახევარმცველი ჯო კოული, რომელმაც ზედიზედ სამი სასიკვდილო მუქარის წერილი მიიღო.

ამ კვირაში უსახელო მესიჯებმა სიცოცხლე გაუმწარეს 24 წლის ფეხბურთელს. ჯომ ისინი პირდაპირ „ჩელსის“ ბაზეზე, კობენში წაიკითხა და თვითმხილველთა გადმოცემით, გაფითრდა.

ეს მუქარები დამფიქრებელია იმიტომ, რომ ორი კვირის წინათ ჯოს ჩხუბი მოუხდა ერთი გოგოს, კილი ჰეზელის გამო. კილი ჰეზელი „მესამე გვერდის“ განთქმული მოდელია. „მესამე გვერდის“ მოდელი კი იმას გულისხმობს, რომ ინგლისური ტაბლოიდები სწორედ თავიანთ მესამე გვერდზე ბეჭდავენ ნახევრადშიშველი გოგოების ფოტოებს.

პირველი მუქარა კოულს ოთხშაბათს მიუღია. იქ ეწერა: „ფეხებს დაგამტვრევ, ხელებს დაგამტვრევ, ყელს გამოგჭრი.“ შემდეგი ორი კი ხუთშაბათს მისულა. აქედან უკანასკნელი თავად ყელგასისხლიანებული ჯოს ფოტო იყო, საერთოდ კი, წერილები წითელი მელნით დაეწერათ.

მეორეს უფრო მსუბუქი შინაარსი ჰქონდა: „გილოცავ ფეხბურთიდან წასვლას და შენს დედამ...ულ დაკრძალვას.“

ჯო 19 წლის კილი ჰეზელს „ჩელსის“ რიგით ფართიზე გადაეყარა 7 იანვარს. „ჩელსიმ“ „ჰადერსფილდი“ დაამარცხა თასზე და ქეიფიც ამის გამო იყო. ნაქეიფარი ჯო გოგოს სახლში მიადგა, იქ კი მის მიჯნურს, მოყვარულ ფეხბურთელს გადაეყარა.

ჰოდა, იმ დროსტარებაში ჯო მოყვარულმა ფეხბურთელმა გალახა, მისივე სიტყვებით, კილისადმი „უპატივცემულო მოპყრობის გამო“. ვითარება იმგვარი იყო, რომ გამთენიისას კვირაში 60 ათას გირვანქიანი ვარსკვლავს ფანჯრებში ძრომა მოუხდა. ჯოს გამლახველი 19 წლის ბიჭი ლოიდ მილერია, თუმცა პოლიციას არ სჯერა, რომ მუქარის წერილებს ის უგზავნის ფეხბურთელს.

გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ მუქარის წერილებს ჯოს კილის უსახელო ფანები უგზავნიან, ანდა სხვა გუნდების გულშემატკივრები, რომლებსაც სწყინთ, რომ გოგო ჩელსელს დაუმეგობრდა.

იმ მილერს კი მართლა გვარიანად გაულახავს მთვრალი ჯო. ტაქსის სადგურში მისული თავპირდასიებული, ჰერანგშემოხეული და ფეხშიშველა იყო. აღარც ფული ჰქონდა, აღარც ტელეფონი. ასეა, როცა ფანჯრიდან გამორბიხარ.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ კოული სარის საგრაფოში, დიდ სახლში ცხოვრობს თავის გელფრენდთან ერთად.

ირაკლი გამყრელიძე

აეროპორტამდე მიდის ტაქსი

შეხედეთ ბექემის მხარ-ბეჭს და დაუძახეთ ლუისს

მანჩესტერში არის ასეთი სვირინგების ოსტატი — მათთვის, ვინც ღმერთო ჩემოს ნაცვლად „ო, მაი გად“-ს იძახის — ტატუისტი ლუის მელოი, რომლის ნემსსაც ეკუთვნის მრავალი ნაწარმოები, კერძოდ კი, ჯვარი და ბევრი სხვა დევიდ ბექემის კისერსა და მხარ-ბეჭზე, ფიგურები მისი მეუღლის, ვიქტორიას ტურფა-ბომონდურ სხეულზე და ასე შემდეგ.

ლუის მელოის ხელოვნება კარგა ხანია გასცდა არათუ მანჩესტერის, არამედ დიდი ბრიტანეთის საზღვრებს, თუმცა, როგორც თავად 42 წლის შემოქმედი ბრძანებს, მისი ცხოვრება სრულებითაც არ არის ისეთი მორთულ-მოკაზმული, როგორიც ერთი შეხედვით უცხო თვალისთვის შეიძლება ჩანდეს.

„ჩემს სალონთან სულაც არ დგას ლიმუზინების რიგი და არც ჰოლში მელიან ლამაზმანები — ამბობს საბრალო ლუისი — დევიდსა და ვიქტორიას კი სულ ორჯერ თუ სამჯერ შევხვედრივარ. ერთხელ მათ მადრიდში წამიყვანეს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ისინი ყოველთვის ჩვეულებრივი რეისით დაფრინავენ, რაც მათი შეძლების ხალხისთვის სრულიად გასაოცარი რამ გახლავთ. ესპანეთში ჩემი მოგზაურობის ამბავს მეგობრებს რომ ვუამბობ, ისინი ყოველთვის გაკვირვებით მისმენენ. ვერ იჯერებენ, რომ სვირინგის გაკეთების შემდეგ ბექემებმა თავიანთი ოფისის კართან დამაყენეს და, აქედან ტაქსით წახვალო, მითხრეს. მოკლედ, აეროპორტში ტაქსით წასვლა და რეისის ოთხი საათი ცდამ მომიწია. ისე, თუ შედარება გაინტერესებთ, ამის შემდეგ ერთმა მდიდარმა ესპანელმა საგანგებოდ ჩემთვის მანჩესტერში თვითმფრინავი გამოაგზავნა“.

შემდეგ ლუისმა დევიდისა და ვიქტორიას „ბექინგემის სასახლედ“ წოდებულ მანჩესტერულ სახლზე ისაუბრა, ოღონდ ძალიან მოკლედ, მხოლოდ ის თქვა, რომ იგი შიგნიდან სხვანაირ დიზაინს გაუკეთებდა. რაც შეეხება დევიდის გაცნობას, ეს ასე მომხდარა:

„მან მას მერე დამირეკა, რაც მანჩესტერელ თანაგუნდელებს, როი კინსა და პოლ ინსს უნახა ჩემი შექმნილი სვირინგები. მითხრა, რომ მკლავზე ცოლის სახელის ამოსვირინგება სურს, რაზეც მყისიერად ვუპასუხე, ეს არ ქნა, ვაითუ ცოლთან ურთიერთობა კარგად არ წაგივიდეს-მეთქი. არ დამიჯერა. რაც შეეხება იდეებს, დევიდმა ხანდახან მართლა ზუსტად იცის, რა უნდა. და კიდევ, მის სვირინგებს პრესა და ტელევიზია იმდენ ყურადღებას აქცევს, რომ როდესაც ბექემისთვის რაღაცას ვაკეთებ, ვიცი, ზუსტად ასეთს კიდევ ბევრი მომთხოვს“.

შემდეგ მესვირინგე ამბობს, რომ როდესაც მას დევიდ ბექემი ურეკავს, ის მას საერთო რიგში სვამს და რაიმე საგანგებო მოთხოვნით არ ანებივრებს.

„დევიდის და ვიქტორიას დანახვაზე ვარსკვლავური ბნედა არ მომდის. მე მათ ჩვეულებრივ ადამიანებად აღვიქვამ და საერთოდაც, როგორც მოგახსენეთ, თავს ელიტარული საზოგადოების მესვირინგედ არ მივიჩნევ“ — ამბობს ლუისი.

პაპუნა კედია





სვენი წავა

იმის მიუხედავად, რომ არაბ შეიხად გადაკმულ ჟურნალისტს სისულელები ელაპარაკა, სვენ გორან ერიკსონს ახლა არავინ მოხსნის.

თუმცა: ისიც ფაქტია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრების მენეჯერთან სხვანაირი ლაპარაკი გაიმართება. ყველაფერი ინგლისელთა შედეგზე იქნება დამოკიდებული.

შვედი, რომელსაც „შეიხის საქმეზე“ აქამდე კრინტი არ დაუძრავს, გუშინ ალაპარაკდა და თქვა, რომ გაიცხვის ღირსი მაშინ იქნება, თუ ნაკრებს ოთხეულში ვერ შეიყვანს.

„მე ყოველთვის ვამბობდი, რომ მხოლოდ საფეხბურთო შედეგებით უნდა განმსაჯონ — თქვა მენეჯერმა — თუ ჩვენ ნახევარფინალში ვერ გავალთ, მე გადავდგები. თუ ჩემპიონები გავხდებით, ყველას მადლობას ვეტყვი და დამშვიდებული გამოგეთხოვებით. მგონი, ხალხი მიხვდება, რასაც ვამბობ“.

რაც შეეხება „შეიხის საქმეს“, სვენი გულნატკენი ყოფილა: „ქამარს ქვეშ დამარტყეს. ჩემი ნალაპარაკევი კი ამორჩევით დაბეჭდეს. გული დამწყდა, რომ არ აღნიშნეს, რაც ვთქვი: რიო ფერდინანდი მსოფლიოს საუკეთესო მცველია, რუნი კი საუკეთესო ფეხბურთელი-მეთქი“.

ირაკლი გამყრელიძე

ესპანურ „მალიორკას“ პრიმერადივიზიონში საქმე ცუდად მისდის და ექტორ რაულ კუპერი მდგომარეობის გამოსწორებას ახალი ფეხბურთელებით აპირებს. არგენტინელი თავდამსხმელის ლეონარდო პისკულიჩის დამატების შემდეგ კუნძულელებმა „ბრაგას“ მცველი ჟოზე კარლოს დე არაუჟუ ნუნიესი შეიძინეს. მხარეებმა სამწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

იტალიური „რომა“ რობერ პირესისთვის ბრძოლაში ჩაერთო. 32 წლის ფრანგი სეზონის ბოლოს ალბათ „ჰაიბერის“ დატოვებს და მას უკვე რამდენიმე მსურველი გამოუჩნდა. პარალელურად „გლადიატორებმა“ „ტოტენჰემის“ თავდამსხმელ აჰმედ ჰოსამი მიდოს დაადგეს თვალი. შეგახსენებთ, რომ ეგვიპტელს რომში ადრეც უთამაშია. ამჟამად მიდო აფრიკის თასზეა და კომენტარი არ გაუკეთებია, თუმც ცოტა ხნის წინ თქვა, ინგლისში თავს მშვენივრად გრძნობო.

ინგლისური „მიდლსბროს“ თავდამსხმელი ზირალდ ნემეტი უახლოეს დღეებში „სტრასბურში“ გადავა. „იგი კვირის ბოლოს ჩამოვა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის, შემდეგ კონტრაქტსაც გავაფორმებთ“ — ნათქვამია „სტრასბურის“ ოფიციალურ განცხადებაში. სლოვაკი თავდამსხმელი მიმდინარე სეზონში საერთოდ ამოვარდა „მიდლსბროს“ ძირითადი შემადგენლობიდან, რის გამოც წასვლა გადაწყვიტა.

ესპანური „ბარსელონა“ მაქსი ლოპესის მსურველს ეძებს და ცდილობს, შემოსული წინადადებებიდან საუკეთესო აარჩიოს. კატალონიელთა სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტანმა აღნიშნა, რომ პრიმერადივიზიონის გარდა რამდენიმე უცხოური კლუბიც დაინტერესდა, მათ შორის ყველაზე აქტიური ერთ-ერთი ინგლისური გუნდი ყოფილა, რომლის ვინაობაც ჯერ არ ხმაურდება. ჭორების თანახმად, ეს კლუბი ლონდონის „ვესტ ჰემია“.

ინგლისური „ევერტონი“ ძალიან ახლოა გამოცდილი მცველის ალან სტაბსის შეძენასთან. ლივერპულელებს იგი „ფიორენტინაში“ გაყიდული პერ კროლდრუპის შემცვლელად ესახებათ. სტაბსი, რომელიც ახლა „სანდერლენდის“ ღირსებას იცავს, 2001-05 წლებში სწორედ „ევერტონში“ თამაშობდა. 34 წლის ფეხბურთელმა უკვე განაცხადა, რომ „გუდისონ პარკზე“ დაბრუნებას არ იუარებს. „კლუბის დატოვება საერთოდ არ მინდოდა, მაგრამ კონტრაქტის პირობები ვერ შევათანხმეთ და „ევერტონიდან“ ამიტომ წამოვედი“ — თქვა სტაბსმა.

კრუიფმა ბარსას ვან ბასტენი უთხრა

ვან ბასტენი კრუიფმა მოიკითხა



ეტოო ლონდონიდან დაინახეს

ბარსელონაში ფრანკ რაიკარდის სავარაუდო შემცვლელზე ალაპარაკდნენ.

საქმე ის გახლავთ, რომ კატალონიელთა იღბლიანი თავკაცის შეძენით იტალიური „მილანი“ დაინტერესდა და ხუან ლაპორტას კლუბიც რაიკარდის შესაძლო გამგზავრების შემთხვევაში თავს იზღვევს. როგორც ესპანური „მარკა“ გვამცნობს, „ბარსას“ მიზანი „კამპ ნოუზე“ მეორე დიდი ჰოლანდიელის, მარკო ვან ბასტენის ჩაყვანაა, თუკი სამომავალსეზონოდ ფრანკ რაიკარდმა სილვიო ბერლუსკონის უმაცდურეს შეთავაზებაზე თავი ვერ შეიკავა.

იტალიურ მედიაში კი რაიკარდის „სან სიროზე“ დაბრუნების ამბავს სულ უფრო დაბეჯითებით განიხილავენ. „ლა გაძეტა დელო სპორტის“ მიხედვით, სილვიო ბერლუსკონის „მილანის“ ამჟამინდელი თავკაცის, კარლო ანჩელოტისა აღარ სჯერა და გუნდის კრიზისიდან გამოსაყვანად მზადაა, ფრანკ რაიკარდის სანაცვლოდ ფანტასტიკური თანხა გაიმეტოს... მარკო ვან ბასტენი კი „ბარსელონას“ ლეგენდარულმა იოჰან კრუიფმა ურჩია. მართალია, კაცი-მითოსი კარგა ხანია, კატალონიური გრანდის მწვრთნელობას ჩამოსცილდა, მაგრამ, მავანთა თქმით, „ბარსას“ პრეზიდენტ ლაპორტაზე დიდ გავლენას ინარჩუნებს. სწორედ კრუიფის დამსახურებაა, რაიკარდი რომ რონალდინიოს და კომპანიას წვრთნის — 2003 წელს ხომ ფრანკიც მფრინავი ჰოლანდიელის თავდებით გახდა „ბარსელონას“ დამრიგებელი... ახლა გასარკვევი ის დარჩა, ვან ბასტენი ჰოლანდიის ნაკრებს კატალონიური გრანდის გამო თუ დასცილდება. შეგახსენებთ — მარკოს ნარინჯისფერთა ეროვნულ გუნდთან კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს.

სხვა საბარსელონო ამბებიდან საინტერესოა „ჩელსისგან“ სამუელ ეტოოზე გაჩაღებული ნადირობა. კამერუნელი მოიერიშის ფასი ჟოზე მაურინიუმ მშვენივრად იცის. იმიტომაც აპირებენ ლონდონელთა მესვეურები 2006-07-ის სეზონისთვის 60 მილიონი ევროს გამეტებას.

სამუელ ეტოო „ჩელსის“ სატრანსფერო ორბიტაზე შარშანაც გახლდათ, მაშინ აბრამოვიჩის კლუბი 24 მილიონ ევროს გადახდას და უილიამ გალასისა და ერნან კრესპოს „კამპ ნოუზე“ გადასროლას აპირებდა. მერე ფეხბურთელების გაცვლის ოპერაცია გამორიცხეს და აბრამოვიჩმაც 50 მილიონამდე აწია თავისი მაზანდა. ბარსელონელები ჩრდილოელთა ფულუხვობას მედგრად დაუდგნენ და აფრიკელიც კატალონიაში დარჩა.

ესპანურ მედიას თუ დავუჯერებთ, მაურინიუს კლოდ მაკელელე ეხვეწება, „სტემფორდ ბრიჯზე“ ეტოო გადმოიყვანეო. სამუელ ეტოო 24 წლისაა და „ბარსაში“ კონტრაქტით 2010 წლამდე უწევს დარჩენა.

ლადო ხომერიკი

ფეხბურთელს ხელი მოკვეთეს

პარაგვაის ნაკრებისა და იტალიური სერია B-ს გუნდის „ვიჩენცას“ თავდამსხმელს, ხულიო გონსალესს მარცხენა ხელი მოკვეთეს. ექიმების ყველანაირი ცდა ფორვარდისთვის ხელი შეენარჩუნებინათ უშედეგო აღმოჩნდა.

პარაგვაელი ფეხბურთელი დაახლოებით ოთხი კვირის წინ ავტოკატასტროფაში მოყვა. ის საავადმყოფოში მრავალი მოტეხილობით მიიყვანეს და დაუყოვნებლივ საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს, სადაც 12 საათის განმავლობაში დასტრიალებდნენ თავს. კატასტროფა იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა, როდესაც გონსალესს თანაგუნდელი ჯერარდო გრიგინი აეროპორტში მიყავდა.

ხულიო გონსალესმა მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში რეგულარული მონაწილეობა მიიღო და, შესაბამისად, გერმანიაში წამსვლელთა სიაშიც ეწერა, მაგრამ ზემოთ ნახსენებმა საშინელმა ამბავმა მისთვის მსოფლიოს პირველობას კი არა, ალბათ, ფეხბურთელის კარიერასაც დაუსვა წერტილი.

მეორე მხრივ კი, ისტორიამ იცის შემთხვევა, როდესაც ცალხელა ადამიანმა არათუ ბურთის თამაში შეძლო, არამედ მსოფლიოს ჩემპიონიც კი გახდა. საუბარია ურუგვაელ ექტორ კასტროზე, რომელმაც 1930 წელს მოიგო მუნდიალის ჩემპიონის მედალი.

მაღალი და ღონიერი კასტრო ეგრეთწოდებული ტარანის ტიპის ფორვარდი გახლდათ, რომელიც მეტოქეთა მცველებთან ფიზიკურ ორთაბრძოლებს არ გაურბოდა, თუმცა ამბობენ, რომ ამასთან ერთად მას სისწრაფე და მოქნილობა აკლდა. როგორც მაშინდელი არქივებიდან გახლავთ ცნობილი, არტისტული ფეხბურთის მოყვარულ ურუგვაიში კასტრო ქომაგთა კერპი და ნომერ პირველი ვარსკვლავი არასდროს ყოფილა,- მაგრამ თავდაუზოგავი ბრძოლისთვის მას უდიდეს პატივს სცემდნენ. რაც შეეხება ხელს, ის კასტროს ბავშვობაშივე დაეკარგა.

ცნობისთვის: ექტორ კასტრომ 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არგენტინის ნაკრებს გოლი გაუტანა. მატჩი დასრულდა ურუგვაელთა გამარჯვებით, 4:2.

პაპუნა კედია

უიღბლო ხულიო გონსალესი

ურუგვაი. 1930 წელი. ექტორ კასტრომ ცალი ხელით ითამაშა.

ჩეხი კარში საუკეთესოა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ მორიგი საინტერესო გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. ამჯერად საქმე 2005 წლის საუკეთესო მეკარეს ეხება. ეს ჯილდო „ჩელსის“ გოლკიპერმა პეტრ ჩეხმა მიიღო და სრულიად დამსახურებულად. იგი გასულ წელს მართლაც ყველაზე სტაბილური გახლდათ.

ამ გამოკითხვაში ბოლო ორი წელი ჯანლუიჯი ბუფონი დამავჯერებლად იმარჯვებდა, მაგრამ „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების კარის დარაჯს ტრავმის გამო საკმაოდ დიდი დრო გაუცდა და მისი რეიტინგი დაეცა. ბუფონი მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა, ხოლო მეორეზე „მილანის“ ბრაზილიელი მეკარე ნელსონ დიდა აღმოჩნდა, რომელსაც ჩეხმა თითქმის ორჯერ გაასწრო ხმების რაოდენობით.

საუკეთესო მეკარე ჟურნალისტებმა და საფეხბურთო ექსპერტებმა აირჩიეს. დიდ საფეხბურთო ქვეყნებს ორი კანდიდატის დასახელება შეეძლოთ, ხოლო დანარჩენთ ერთი ხმის უფლება ჰქონდათ.

კოკი კანდელაკი

1	პეტრ ჩეხი (ჩელსი, ჩეხეთი)	175
2	ნელსონ დიდა (მილანი, ბრაზილია)	91
3	ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი, იტალია)	78
4	გრეგორი კუპე (ლიონი, საფრანგეთი)	43
5	ოლივერ კანი (ბაიერნი, გერმანია)	42
6	იკერ კასილიასი (რეალი, ესპანეთი)	41
7	ირჟი დუდეკი (ლივერპული, პოლონეთი)	34
8	ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ იუნაიტედი, ჰოლანდია)	32
9	როჟერიო სენი (სან პაულუ, ბრაზილია)	31
10	რობერტო აბონდანსიერი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)	26
11	აურელიო და სილვა გომესი (პსვ, ბრაზილია)	17

იტალიური „პალერმო“ სატრანსფერო ბაზარზე პასიურობას არ აპირებს. სიცილიელები კიდევ უფრო გაძლიერებას ლამობენ და ახლა ფრანკო სემიოლის მიადგნენ. „კიევოს“ 25 წლის ნახევარმცველი წლევანდელ სეზონს ჩინებულად ატარებს და ეროვნული ნაკრების თავკაც, მარჩელო ლიპის ყურადღებაც მიიპყრო. მისი ფასი დაახლოებით 2,5 მილიონი ევროა.

ურუგვაელი ფორვარდი მარსელო ზალაიეტა „იუვენტუსში“ დარჩება. ყოველ შემთხვევაში, თუ მის აგენტ დანიელ დელგადოს ვენდობით, მან ტურინელებთან კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გაახანგრძლივა და არსად წასვლას არ აპირებს. „მარსელოს შეძენა „ბეტისს“, „პარმას“, „ლაციოს“ „მარსელსა“ და და პსჟ-ს სურდათ, მაგრამ „იუვემ“ დარჩენის შანსი მისცა“ — აღნიშნა დელგადომ.

იტალიურმა „სიენამ“ ტომას ანდრეს გუზმანი სეზონის ბოლომდე ინათხოვრა, ზაფხულში კი შესაძლოა, ბოლომდე გამოისყიდოს მისი კონტრაქტი. 23 წლის პარაგვაელი იტალიაში 2001 წლის მერე თამაშობს და პირველი სეზონი „იუვენტუსში“ გაატარა. ამას „ტერნანა“ და „მესინა“ მოჰყვა, ხოლო ამჟამად „კროტონეში“ ირიცხება.

შოტლანდიური „ჰიბერნიანის“ კაპიტანი გერი კოლდუელი სეზონის ბოლოს „სელტიკში“ გადავა. კოლდუელმა და გლაზგოურმა კლუბმა წინასწარ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს. ამ შეთანხმებას წინ გლაზგოელთა მწვრთნელის, გორდონ სტრაჩანის კიდევ ერთი გარიგება უძღოდა. „ჰიბერნიანის“ კაპიტნამდე სტრაჩანმა ინგლისურ „ვულვზში“ მოთამაშე სქოთ ფორვარდს, კენი მილერს დაუდო პირობა. საინტერესოა, რომ ზაფხულის მერე, ანურაც „სელტიკის“ მწვრთნელი გახდა, სტრაჩანმა უკვე ათი ახალი ფეხბურთელი იყიდა.

ავსტრალიელი მეკარე მარკ შვარცერი „მიდლსბროში“ დარჩება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება ტრანსფერის თაობაზე უკან წაიღო. განაწყენებულმა შვარცერმა ეს განცხადება იანვრის პირველ რიცხვებში დაწერა, როდესაც „ნანტონთან“ სათასო შეხვედრაში არ ათამაშეს. მაშინ მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა თქვა, ავსტრალიელს არავინ იჭერს, შეუძლია წავიდესო, მაგრამ დღეს, როდესაც ვითარება შეიცვალა, მან განაცხადა, რომ შვარცერის დარჩენით კმაყოფილია. შეგახსენებთ, რომ შვარცერი ცხრა სეზონია, „მიდლსბროს“ ერთგულებს.

იმპერატორის დაცემა

პრეზიდენტის რუმინული მომავალი

ჰალუკ ულუსოი კვლავ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, ხოლო ოსმალოთა ნაკრების თავკაცი ფათიჰ თერიმი გადადგა.

23:45	9009	თასი	ლიტექსი	100.00	23:45	9009	თასი	ლევსკი	85.00	23:45	9009	თასი	ლანსი	30.00
23:45	9009	თასი	ხე

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12001	ევერტონი-არსენალი	1.70	1.90
12003	ბირმინგემი-პორტსმუთი	1.60	2.00
12004	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.70	1.90
12005	ბოლტონი-სიტი	1.60	2.00
12006	ნიუკასლი-ბლეკბერნი	1.60	2.00
12007	მიდლსბრო-უიგანი	1.70	1.90
12008	ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი	1.70	1.90
12009	ჩელსი-ჩარლტონი	2.00	1.60
12011	მანჩესტერი-ლივერპული	1.60	2.00
12012	ვესტ ჰემი-ფულემი	1.70	1.90
12070	ფოლკირკი-ინვერნესი	1.70	1.90
12071	კილმარნოკი-ჰართსი	1.90	1.70
12073	ჰიბერნიანი-დანფერმლაინი	1.90	1.70
12074	დანდი იუნაიტედი-აბერდინი	1.70	1.90
12077	მოზერუელი-სელტიკი	2.00	1.60
12116	ლაციო-კალიარი	1.70	1.90
12117	ინტერი-პალერმო	1.90	1.70
12119	იუვენტუსი-ემპოლი	2.10	1.60
12121	ასკოლი-ლეჩე	1.70	1.90
12122	ლივორნო-ტრევიზო	1.70	1.90
12123	პარმა-კიევო	1.70	1.90
12124	უდინეზე-რომა	1.70	1.90
12125	სიენა-მილანი	1.70	1.90
12126	რეჯინა-სამპდორია	1.60	2.00
12127	ფიორენტინა-მესინა	1.70	1.90
12169	ხეტაფე-ესპანიოლი	1.70	1.90
12170	დეპორტივო-მალიორკა	1.70	1.90
12171	მალაგა-სელტა	1.70	1.90
12172	ბარსელონა-ალავესი	2.30	1.45
12174	ბეტისი-ვალენსია	1.70	1.90
12175	ვილიარეალი-ოსასუნა	1.70	1.90
12176	სოსიედადი-ბილბაო	1.70	1.90
12177	რასინგი-სევილია	1.70	1.90
12178	სარაგოსა-ატლეტიკო	1.70	1.90
12179	რეალი-კადისი	2.10	1.55
12192	აიაქო-მარსელი	1.45	2.40
12193	ბორდო-სტრასბური	1.40	2.40
12194	სოშო-სტ-ეტიენი	1.55	2.10
12195	რენი-ნანსი	1.50	2.20
12196	ტულუზი-ლილი	1.60	2.00
12197	ტრუა-ლე მანი	1.50	2.10
12198	ნიცა-პსჟ	1.45	2.30
12200	მეცი-ნანტი	1.50	2.20
12201	ლანსი-მონაკო	1.55	2.10
12202	ლიონი-ოსერი	1.60	2.00
12288	ვახიანთეფი-სამსუნი	1.90	1.70
12290	ანკარაგიუჯიუ-მანისა	1.90	1.70
12291	ბეშიქთაში-ერეიესი	1.90	1.70
12292	მალათია-სივასპორი	1.70	1.90
12293	ანკარა-დენიზლი	1.70	1.90
12294	კაისერი-ტრაბზონი	1.90	1.70
12295	კონია-გალათასარაი	1.90	1.70
12297	რიზე-დიარბაქირი	1.90	1.70

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	ევერტონი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15003	ბირმინგემი-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15004	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	3.00	2.80	2.00
15005	ბოლტონი-სიტი	3.00	2.80	2.00
15006	ნიუკასლი-ბლეკბერნი	3.00	2.80	2.00
15007	მიდლსბრო-უიგანი	3.00	2.80	2.00
15008	ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი	3.00	2.80	2.00
15009	ჩელსი-ჩარლტონი	3.00	2.80	2.00
15011	მანჩესტერი-ლივერპული	3.00	2.80	2.00
15012	ვესტ ჰემი-ფულემი	3.00	2.80	2.00
15070	ფოლკირკი-ინვერნესი	3.00	2.80	2.00
15071	კილმარნოკი-ჰართსი	3.00	2.80	2.00
15073	ჰიბერნიანი-დანფერმლაინი	3.00	2.80	2.00
15074	დანდი იუნაიტედი-აბერდინი	3.00	2.80	2.00
15075	რეინჯერსი-ლივინსტონი	3.00	2.80	2.00
15077	მოზერუელი-სელტიკი	3.00	2.80	2.00
15116	ლაციო-კალიარი	3.00	2.80	2.00
15117	ინტერი-პალერმო	3.00	2.80	2.00
15121	ასკოლი-ლეჩე	3.00	2.80	2.00
15122	ლივორნო-ტრევიზო	3.00	2.80	2.00
15123	პარმა-კიევო	3.00	2.80	2.00
15124	უდინეზე-რომა	3.00	2.80	2.00
15125	სიენა-მილანი	3.00	2.80	2.00
15126	რეჯინა-სამპდორია	3.00	2.80	2.00
15127	ფიორენტინა-მესინა	3.00	2.80	2.00
15169	ხეტაფე-ესპანიოლი	3.00	2.80	2.00
15170	დეპორტივო-მალიორკა	3.00	2.80	2.00
15171	მალაგა-სელტა	3.00	2.80	2.00
15172	ბარსელონა-ალავესი	3.00	2.80	2.00
15174	ბეტისი-ვალენსია	3.00	2.80	2.00
15175	ვილიარეალი-ოსასუნა	3.00	2.80	2.00
15176	სოსიედადი-ბილბაო	3.00	2.80	2.00
15177	რასინგი-სევილია	3.00	2.80	2.00
15178	სარაგოსა-ატლეტიკო	3.00	2.80	2.00
15179	რეალი-კადისი	3.00	2.80	2.00
15192	აიაქო-მარსელი	3.00	2.80	2.00
15193	ბორდო-სტრასბური	3.00	2.80	2.00
15194	სოშო-სტ-ეტიენი	3.00	2.80	2.00
15195	რენი-ნანსი	3.00	2.80	2.00
15196	ტულუზი-ლილი	3.00	2.80	2.00
15197	ტრუა-ლე მანი	3.00	2.80	2.00
15198	ნიცა-პსჟ	3.00	2.80	2.00
15200	მეცი-ნანტი	3.00	2.80	2.00
15201	ლანსი-მონაკო	3.00	2.80	2.00
15202	ლიონი-ოსერი	3.00	2.80	2.00

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ფასდება ნულად)

14001	ევერტონი-არსენალი	2.40	1.45
14003	ბირმინგემი-პორტსმუთი	1.70	2.10
14004	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	1.40	2.40
14005	ბოლტონი-სიტი	1.80	2.00
14006	ნიუკასლი-ბლეკბერნი	1.80	2.00
14007	მიდლსბრო-უიგანი	1.80	2.00
14008	ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი	1.45	2.30
14009	ჩელსი-ჩარლტონი	1.02	2.90
14011	მანჩესტერი-ლივერპული	1.85	1.95
14012	ვესტ ჰემი-ფულემი	1.80	2.00
14070	ფოლკირკი-ინვერნესი	2.00	1.80
14071	კილმარნოკი-ჰართსი	2.20	1.70
14073	ჰიბერნიანი-დანფერმლაინი	1.30	2.50
14074	დანდი იუნაიტედი-აბერდინი	1.80	2.00
14077	მოზერუელი-სელტიკი	2.70	1.15
14116	ლაციო-კალიარი	1.30	2.50
14117	ინტერი-პალერმო	1.05	2.90
14121	ასკოლი-ლეჩე	1.60	2.30
14122	ლივორნო-ტრევიზო	1.25	2.50
14123	პარმა-კიევო	1.70	2.00
14124	უდინეზე-რომა	1.90	1.90
14125	სიენა-მილანი	2.50	1.30
14126	რეჯინა-სამპდორია	1.90	1.90
14127	ფიორენტინა-მესინა	1.20	2.60
14169	ხეტაფე-ესპანიოლი	1.80	2.00
14170	დეპორტივო-მალიორკა	1.20	2.60
14171	მალაგა-სელტა	1.85	1.95
14172	ბარსელონა-ალავესი	1.02	2.90
14174	ბეტისი-ვალენსია	2.00	1.80
14175	ვილიარეალი-ოსასუნა	1.60	2.30
14176	სოსიედადი-ბილბაო	1.70	2.10
14177	რასინგი-სევილია	1.85	1.95
14178	სარაგოსა-ატლეტიკო	1.70	2.10
14179	რეალი-კადისი	1.07	2.90
14192	აიაქო-მარსელი	2.10	1.70
14193	ბორდო-სტრასბური	1.30	2.50
14194	სოშო-სტ-ეტიენი	1.80	1.90
14195	რენი-ნანსი	1.60	2.30
14196	ტულუზი-ლილი	1.90	1.90
14197	ტრუა-ლე მანი	1.70	1.90
14198	ნიცა-პსჟ	1.90	1.90
14200	მეცი-ნანტი	1.80	1.90
14201	ლანსი-მონაკო	1.80	2.00
14202	ლიონი-ოსერი	1.30	2.50

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	ევერტონი-არსენალი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.50
11003	ბირმინგემი-პორტსმუთი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11004	ტოტენჰემი-ასტონ ვილა	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	8.00	20.00	10.00	8.00
11005	ბოლტონი-სიტი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11006	ნიუკასლი-ბლეკბერნი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11007	მიდლსბრო-უიგანი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11008	ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	6.50
11011	მანჩესტერი-ლივერპული	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11012	ვესტ ჰემი-ფულემი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11070	ფოლკირკი-ინვერნესი	4.20	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	10.00	3.10
11071	კილმარნოკი-ჰართსი	5.00	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11073	ჰიბერნიანი-დანფერმლაინი	1.95	10.00	20.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	6.00
11074	დანდი იუნაიტედი-აბერდინი	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11077	მოზერუელი-სელტიკი	10.00	10.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	10.00	1.80
11116	ლაციო-კალიარი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	8.50	20.00	10.00	8.00
11121	ასკოლი-ლეჩე	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11122	ლივორნო-ტრევიზო	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	8.50	20.00	10.00	8.00
11123	პარმა-კიევო	3.80	10.00	20.00	4.10	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11124	უდინეზე-რომა	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11125	სიენა-მილანი	7.00	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.20

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11126	რეჯინა-სამპდორია	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11127	ფიორენტინა-მესინა	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	10.00
11169	ხეტაფე-ესპანიოლი	3.20	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11170	დეპორტივო-მალიორკა	1.90	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	9.00
11171	მალაგა-სელტა	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11174	ბეტისი-ვალენსია	4.20	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.40
11175	ვილიარეალი-ოსასუნა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.00
11176	სოსიედადი-ბილბაო	3.10	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11177	რასინგი-სევილია	3.40	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11178	სარაგოსა-ატლეტიკო	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11179	რეალი-კადისი	1.40	15.00	40.00	3.50	6.00	14.00	20.00	12.00	12.00
11192	აიაქო-მარსელი	5.20	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11193	ბორდო-სტრასბური	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	8.00	20.00	10.00	8.00
11194	სოშო-სტ-ეტიენი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11195	რენი-ნანსი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11196	ტულუზი-ლილი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11197	ტრუა-ლე მანი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11198	ნიცა-პსჟ	3.90	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11200	მეცი-ნანტი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11201	ლანსი-მონაკო	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11202	ლიონი-ოსერი	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	8.00

ᲔᲕᲠᲝᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

ᲛᲘᲜᲣᲡ ᲡᲣᲯᲣᲙᲘ ᲞᲚᲣᲡ ᲛᲘᲠᲔᲡᲛᲐᲘᲚᲘ

ᲒᲐᲓᲠᲘᲡ ᲯᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დღეს ქართველი ძიუდოისტები ტოკიოდან თბილისში ბრუნდებიან, ხვალიდან კი თბილისის „მსოფლიოს თასისთვის“ მზადებას შეუდგებიან. 14-15 იანვარს ჩატარებული ძიგორო კანოს მემორიალის შემდეგ მასზე მოჭიდავე რვავე ქართველი და მწვრთნელთაგან მხოლოდ სავარჯიშოდ წაყვანილი დავით ქევხიშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი დიდ კემპში ჩაერთნენ, რომელშიც მსოფლიოს რამდენიმე გამორჩეული ნაკრები მონაწილეობდა.

შოთა ხაბარელმა უკვე ის ოცდარვა ძიუდოისტიც დაასახელა, 4-5 თებერვალს სპორტის სასახლეში გასაყვანად რომ შეუგულებია, თუმც ეს სია საბოლოოა თუ არა, ამას ნაკრების თავკაცი ალბათ ამ დღეებში იტყვის

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ტურნირს ნაკრების ყველა სახელიანი წევრი იჭიდავებს, ზურაბ ზვიადაურის გარდა. ოლიმპიური ჩემპიონი მუხლზე გადატანილი მძიმე ოპერაციის შემდეგ ჯერაც ექიმების მეთვალყურეობით ვარჯიშობს და თანაგუნდელებს ახლო მომავალში, სავარაუდოდ, მხოლოდ ვაკის დარბაზში თუ ამოუდგება მხარში. წლეულს მთავარი ტურნირი მაისის ბოლოს ჰელსინკში გასამართი ევროპის ჩემპიონატია და ზვიადაურის მთავარი საფიქრალი იქამდე ჩვეული ფორმის აღდგენაა. საერთაშორისო ტატამზე მისი დაბრუნება, ხაბარელის თქმით, 4-5 მარტს, პრაღის „მსოფლიოს თასზე“ იგეგმება.

ამ დღეებში გაცნობეთ, რომ თბილისში ჭიდაობის სურვილი თხუთმეტმა ქვეყანამ გამოთქვა, ძაგრამ ვადა 31 იანვარს იწურება და, სავარაუდოდ, მონაწილეთა რაოდენობით გაიზრდება. „ორად ორი ქვეყანა, რომელთაც ოფიციალურად გვაცნობეს, რომ ჩამოსვლას ვერ ახერხებენ გერმანია და ესპანეთია — გვითხრა ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა ზურა უსუფაშვილმა — იაპონიამ, რუსეთმა, კუბამ, ისრაელმა და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ კი უკვე კონკრეტული გვარებიც გამოგვიგზავნეს. ირანელებმაც გვაცნობეს, რომ უძლიერესი შემადგენლობით მოდიან, ჩვენგან პერსონალურად მოწვეულ მსოფლიოს ჩემპიონ არაშ მირესმაილის ჩათვლით. ფრანგებმა მხოლოდ ის მოგვწერეს, რომ ორი შემადგენლობა მოჰყავთ და თუ შესაძლებელი იქნება, პარიზის „მსოფლიოს სუპერთასამდე“ თბილისში სურთ სავარჯიშოდ დარჩენა“.

გუშინ ძიუდოს ფედერაციაში ერთი არც თუ სასიამოვნო წერილიც მიიღეს. იაპონელებმა პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალეს, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი კეიჯი სუძუკი თბილისში მხოლოდ სავარჯიშოდ მოჰყავთ. ამ სიახლისთვის ბოდიშიც მოიხადეს და გამოცდილი სპორტსმენის ვზისა და ცხოვრების ხარჯების დაფინანსებაც თავის თავზე აიღეს.

შეგახსენებთ, რომ სუძუკი თბილისის ტურნირის ორგანიზატორებს პერსონალურად ჰყავდათ მოწვეული და ხარჯებსაც თავად სწევდნენ.

კეიჯი სუძუკის გარდა იაპონელთა შემადგენლობას „სპორტის სასახლეში“ ორი ვარსკვლავიც დააკლდება. ოლიმპიადის ფინალში ზვიადაურისგან ძლეულმა ჰიროში იზუმიმ და მსოფლიოს მძიმეწონისანმა ექსჩემპიონმა იასუიუკი მუნეტამ ამ ეტაპზე ტატამზე გასვლას დასვენება არჩიეს.

ჰიროუკი აკიმოტოს (66კგ), ტაკამასა ანაისა (100კგ) და იოჰეი ტაკაის (+100კგ) მსოფლიოსა თუ აზიის ჩემპიონატებზე მოხვეჭილი მედლების გარდა, რამდენიმე დღის წინ ძიგორო კანოს მემორიალზე მოგებული ოქროებიც უმშვენებთ მკერდს. მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ ტაკაში ონოსთან (81კგ) ერთად ისინი თბილისშიც ფავორიტთა შორის იქნებიან. შედარებით ნაკლებტიტულიანი არიან ჰ ირიოაკი ჰიროაკა (60კგ), მასაჰირო ტაკამაცუ (73კგ) და ტოშიჰირო იმაი (90კგ), თუმც ასეთი დონის ნაკრებში გაპირველკაცება უკვე საკმარისი არგუმენტია ამ ტრიოს დასაფასებლად. აზიელთა თორმეტკაციანი დელეგაცია თბილისში 31 იანვრიდან 3 თებერვლამდე სამ ნაწილად ჩამოვა და 9 თებერვლამდე დარჩება.

რუსეთისა და კუბის ნაკრებში ყველაზე ტიტულიანები ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორები დიმიტრი ოგიენკო (73კგ), დიმიტრი ნოსოვი (81კგ) და იორდანის არენსიბია (66კგ) არიან.

ცნობისთვის, სწორედ არენსიბიასთან გადამწყვეტ ბრძოლაში დაკარგა დავით მარგოშვილმა ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი.

ზემოთ ჩამოთვლილი ძიუდოს ვარსკვლავები 4-5 თებერვალს „სპორტის სასახლეში“ მოჭიდავე თანავარსკვლავედის მხოლოდ ერთი ნაწილია. ტურნირისთვის სამზადისი უკვე კარგა ხანია, დაიწყო. აქვე ერთი ახალი ამბავიც. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ახლახან ახალი სპორტული ტატამები შემოიღო. მათი ოფიციალური პრეზენტაცია თბილისში მოხდება. ამ ტატამების გარდა დღე-დღეზე საფრანგეთიდან ახალ ტაბლოსაც ჩამოიტანენ.

ბოლოს ის ოცდარვაკაციანი ქართული სია, შვიდ წონით კატეგორიაზე რომ გადანაწილდება: 60 კგ — ნესტორ ხერგიანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, დავით ასუმბანი, ლაშა სარდანაშვილი; 66 კგ — ზაზა კედელაშვილი, სერგო ციხელაშვილი, მინდია ხომიზური, გიორგი შოშიაშვილი; 73 კგ — დავით ქევხიშვილი, გიორგი კუპრაშვილი, დავით კობერიძე, დავით მარგოშვილი; 81 კგ — გრიგოლ მამრიკიშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი; 90 კგ — ირაკლი ცირეკიძე, ბესარიონ ტყემალაძე, მინდია ბოდაველი, ლევან ჟორჟოლიანი; 100 კგ — გია გუგავა, ლევან ჩიკოიძე, ლევან რაზმაძე, გიორგი ყიზილაშვილი; +100 კგ — ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ივერი ჯიქურაული, ზვიად ჩინჩალაძე.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ

ᲘᲝᲙᲣᲫᲣᲜᲐᲡ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲣᲛᲫᲘᲛᲐ

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲕᲘᲓᲗᲐᲜ — ასეთია ლევან ცაგურიას მოგება-წაგებათა ბალანსი სეზონის პირველი ბაშოს ცამეტი ტურის შემდეგ. ფინიშამდე დარჩენილი ორი შეხვედრიდან ერთიც რომ წააგოს, კატიკოსს (ბაშოს შემაჯამებელ დადებით ბალანსს) დაემშვიდობება, რითაც სამომავალ ბაშოდ წოდება შეუმცირდება.

კოკაის ბოლო მძლეველი კომუსუბი ტამანოსიმა გამოდგა, დღეს კი ჩვენებური კომუსუბი კიოკუტენოს დაეჭიდება.

გუშინდელი დღის მთავარი მოულოდნელობა ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნას, ცისფერ დრაკონად მონათლული მონღოლის დამარცხება იყო. როგორც ჩანს, იანვრის ბაშოზე ასასიროუს ჰეგემონია სრულდება. იმპერატორის თასისკენ მიმავალი გზა ამ თასის 15-გზის ამწევს გუშინ უმაღლეს დივიზიონ მაკუტის უმსუბუქესმა სეკტორიმ, 113-კილოგრამიანმა ამამ გაუმრუდა. ტექნიკურობით სახელმოხვეჭილმა პატარა დევმა იოკოძუნას წაქცევას სამიოდე წამი მოანდომა. თავად ხომ გაიხარა, ლიდერ სეკტორთა საჩემპიონო ამბიციებიც ერთიორად გაზარდა.

ცუდ დროს დაუცდა ფეხი აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ხოკუტორიკისაც. გუშინდლამდე ივი ოძეკი ტოჩიაძუმასთან ერთად, იმპერატორის თასთან ყველაზე ახლო იდგა, ახლა კი ლიდერის მდევარი გახდა. ხოკუტორიკი 20 წლის სეკივაკე ხაკუხოსთან წაიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ფინიშამდე ორი დღეღა რჩება და ცამეტი შეხვედრიდან მხოლოდ ერთის წამგებ ტოჩიაძუმას მდევრებთან ქულიანი უპირატესობა აქვს, სპეციალისტები მის შესაძლო გაჩემპიონებაზე კრინტსაც არ ძრავენ. ბოლო ტურში ხომ იოკოძუნასთან ელის ჭიდილი. სავსებით შესაძლებელია, იმ დროისთვის სათასო შანსი ასასიორუმაც დაიბრუნოს, მაგრამ საამისოდ სხვა ლიდერებიც უნდა დაეხმარონ — თავიანთი უშედეგობით.

სადღეისოდ ტოჩიაძუმას თორმეტი ქულა აქვს, ხოკუტორიკისა და ხაკუხოს — თერთმეტი, ხოლო ასასიორუსა და დასავლეთის მეთოთხმეტე მაეგაშირა ტოკიცუმის — ათი.

დღეს ტოჩიაძუმა ხოკუტორიკის ხვდება, ხაკუხო — ტოკიცუმის, ასასიორუ — 203-სანტიმეტრიან „ბალკანელ გულივერ“ კოტოოსიუს.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲢᲣᲠᲘᲜᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ-ᲮᲐᲑᲐᲠᲘ



ᲢᲣᲠᲘᲜᲘᲡ ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშებისთვის 1674 მედალი დამზადდა. აქედან 126 ჯილდოს მიიღებენ ოლიმპიური, ხოლო 628-პარაოლიმპიური თამაშების მონიწელეები.

ამ მედლების დასამზადებლად დაიხარჯა 873 კილოგრამი სხვადასხვა ძვირფასი ლითონი. მათ შორის: 2 კილოგრამი ოქრო, 167 კილოგრამი ვერცხლი, 704 კილოგრამი ბრინჯაო.

თითოეული მედლის დამზადებას სპეციალისტებმა საშუალოდ 10 საათი მოანდომეს, ხოლო ყველა ჯილდოს, მათ შორის, სათადირიგო მედლების დასამზადებლად, რამდენიმე თვის განმავლობაში ათი ოსტატი მუშაობდა.

* * *

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაიწყო საქმის განხილვა თავიანთი ქვეყნის ქალთა ეროვნული გუნდების მწვრთნელის ბობსლეისა და სკელეტონში ტიმ ნარდელოს წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედება თავის აღსაზრდელთა მიმართ სექსუალური ლტოლვისკენ, რითაც მათ მოსვენებას უკარგავს. საქმის გამოძიებამდე 45 წლის ნარდელო სამუშაოდან დათხოვნილია და ამის გამო მან მსოფლიოს თასის ეტაპზე გამგზავრებაც ვერ შეძლო.

აშშ-ს ეოკ-მა ამას წინათ ორი სპორტსმენისგან, ფელიციო კენფილდისა და სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის თამაშების ჩემპიონ ტრისტენ გეილისგან მიიღო საჩივარი.

სპორტსმენები ჩიოდნენ, რომ მათ მობეზრდათ ნარდელოს მუდმივი გადაკიდება, რითაც მათ მოსვენება დაუკარგა. თვითონ ნარდელო, რომელმაც ტურინში უნდა უხელმძღვანელოს სკელეტონისტთა გამოსვლას, ყოველივეს უარყოფს, ხოლო ამერიკის ბობსლეისა და სკელეტონის ფედერაცია მწვრთნელს სრულ ნდობას უცხადებს. მიუხედავად ამისა, ამერიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოძიება დაიწყო.

მემორიალური ტურნირის ლოზუნგი: გახსოვდეთ აზოტი!

რუსთაველებმა თასი მოიგეს და ჩემპიონობას უტევენ

რუსთაველთა ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი ფინალის საუკეთესო მოთამაშე გახდა

ფოტო ალექსანდრ ბეგლარიანი

20 იანვარი. ვერის ბაღი

აზოტი 106:77 სტუ

33:18 29:9 21:31 23:19

აზოტი: არწივიძე (11), გოგობერიშვილი (32), ჭოჭუა (10), ტუჯანი (12), იმნაძე (5); ფაიქრიძე, ჩაჩუა (4), ლიპარტელიანი (8), დანელიანი, ცეკვავა (2), ჟღენტი, ბაბიაშვილი (22)

სტუ: მიქაძე (11), ხეცურიანი (21), ლ. ლოსაბერიძე, შანიძე (26), მათიაშვილი (11); ქისტაური (2), ნინუა (1), კოხრეიძე (1), ახალკაცი (3), ათანელიშვილი (1)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ირაკლი პერტაია

საუკეთესო კალათბურთელი — ზვიად ბაბიაშვილი

ფინალის უძვირფასესი მოთამაშე — რამაზ გოგიბერაშვილი.

რაღა მიხვედრა უნდა, რომ მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებული რუსთავის „აზოტი“ გახდა, გუნდი, რომელშიც ეს ტალიკ-ტალიკი ბიჭები თამაშობენ.

დიახ, რუსთავის „აზოტი“, დიდი ტრადიციისა და გამორჩეული ქომაგობის გუნდი გახდა პირველი გამარჯვებული საკანდელიძე-ქორქიას სახელობის სადებიუტო ტურნირისა, თანაც ძალიან ღირსეულად.

რუსთაველთათვის ეს გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლში კვლავ მოიყარა თავი საჩემპიონო შემადგენლობამ. „აზოტის“ მითი კარგა ხანია, დაიმსხვრა. რუსთაველები უფინანსობითა და უპატრონობის გამო ლიდერთა მარაქას კარგა ხანია, ჩამოშორდნენ, ახლა კი „ენერჯი ინვესტის“ შემწეობით, ისეთ შემადგენლობას მოუყარეს თავი, რომ ამ ტურნირის მოგება კი არა, ჩემპიონობისკენაც სამართლიანად გაიწევენ.

გუშინდელი ფინალი გასეირნებასავით იყო რუსთაველთათვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი „აზოტისთვის“ იოლად მოსანელებელი დესერტი აღმოჩნდა. ფინალი უფრო „აზოტი“ — „თსუ-ნიკორას“ ნახევარფინალურ ჯახს ეთქმოდა, სადაც გამარჯვებულის ვინაობის გარკვევას დამატებითი დრო დასჭირდა.

ფინალში დამატებით დროს ვინ ჩივის, გამარჯვებული უკვე პირველი ტაიმის შემდეგ იყო ცნობილი. ქვემოქართლელებმა ისეთი შემართებითა და სიზუსტით ჩაატარეს საწყისი ნახევარი, რომ დიდი შესვენებისთვის უკვე გამარჯვებულებად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ისინი.

თავად განსაჯეთ — პირველმა მეოთხედმა რუსთაველთა აბსოლუტური უპირატესობით ჩაიარა და 33:18 დასრულდა, ხოლო მეორეში ქვემოქართლელებმა უფრო აკრიფეს სიჩქარე და ტექნიკოსებს იმდენი ბურთები უყარეს, რომ დიდ შესვენებაზე 36-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 62:27.

ასეთ უთანასწორო ბრძოლაში ძნელია თამაშის მიმდინარეობა ზედმიწევნით აღწერო. ტექნიკოსები ძალიან ცდილობდნენ მეტოქეს არ ჩამორჩენოდნენ, მაგრამ ამას, აბა, როგორ მოახერხებდნენ, როცა ერთადერთი ხერიანი მეფარე, ახალგაზრდა რიჩარდ მათიაშვილი ჰყავდათ ტანძალალ აზოტელებთან საბრძოლველად.

ზვიად ბაბიაშვილი, დავით იმნაძე და ჟოლიეტ ტუჯანი სისხლისმსმელებივით ჩასაფრებულიყვნენ სტუ-ს ფარქვეშ და ქულას ქულაზე იყვეჭდნენ. შესაბამისად, ანგარიშიც განუწყვეტლივ რუსთაველთა სასიკეთოდ იზრდებოდა და პირველი ტაიმის ბოლოსკენ უკვე თითქმის გაუბათილებელ ნიშნულს — 35 ქულას მიაღწია.

თუ ტექნიკოსებს რამის პრეტენზია ჰქონდათ, მესამე მეოთხედში უნდა გამოეჩინათ ფხა, მაგრამ ამას რანაირად მოახერხებდნენ, როცა რუსთაველთა უკანა ხაზიც ისეთივე წარმატებით თამაშობდა, როგორც წინა.

ერთი სიტყვით, ერთობ უინტერესო ფინალი გამოვიდა. „აზოტი“ ერთი ხელის გაქნევით დაეპატრონა საკანდელიძე-ქორიას ხსოვნას თასს და ჩემპიონატსაც, ცხადია, პირველობის პრეტენზიით ხვდება.

რუსთავის „აზოტი“ თავისი ნადავლით

ფოტო ალექსანდრ ბეგლარიანი

ბრიკის ხრუნევოლდი

რუსებმა სა-ქა-რთვე-ლო გააბათილეს

კანფეტი დათუნია გათავდა, რუსი მართლა გადათვდა

სანამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები სარუსეთო შემადგენლობას გამოაცხადებენ და ევროპის ერთა თასის საოთხთებერვლო ჯახისთვის მზადებას დაიწყებენ, მანამ რუსი „დათვები“ კვლავ გამალებით ემზადებიან სამხრეთ აფრიკაში და სათბილისოდ ტორებს იმაგრებენ.

გუშინწინ რუსების შერკინება თბილისში ტურნეზე ნამყოფმა პრეტორიის „ბლუ-ბულზის“ მწვრთნელ-მორკინალებმა საგანგებოდ ავარჯიშეს. გუშინ კი „ბულზი“ — რუსეთის ნაკრების ტესტიც გაიმართა. ნატესტევს „დათვების“ სამხრეთაფრიკელ მთავარ მწვრთნელ ბრიკის იოჰანეს ხრუნევოლდს დავუკავშირდით, რომელიც რუსეთამდე „ბულზის“ უკანა ხაზს წვრთნიდა

— რუსეთის ნაკრები ადრეც ყოფილა სამხრეთ აფრიკაში შეკრებაზე, მაგრამ ამას განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია. ამ შეკრებისგან რამე ახალს ელით?

— ჩემ წინამორბედებზე ვერ ვისაუბრებ, რადგან არ ვიცი, როგორ ჰქონდათ შეკრება დაგეგმილი. ამჯერად ჩემი შეგირდები, შეიძლება ითქვას, შინაურ გარემოში წამოვიყვანე. მოგახსენებთ, რუსეთის ნაკრებამდე „ბულზის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ვიყავი და ეს გრძელვადიანი შეკრებაც ჩემი ყოფილი კლუბის დახმარებით მოვაწყვე. აქ ორჯერადი ვარჯიში გვქონდა და თამამად ვიტყვი, აქამდე რუსეთის ნაკრებს ისეთ სერიოზულ მეტოქეებთან, როგორიც „ბულზი“ და „ფალკონზი“ არიან, არ უთამაშია. როგორც ვიცი, საქართველოს ნაკრები შარშან შემოდგომის შემდეგ არც შეკრებილა მოუმზადებლები დაგვიხვდებიან. ჩვენ, პირიქით, შეიძლება ითქვას, ძალიან კარგ ფორმაში ვართ.

— ესე იგი, უკვე ფორა გაქვთ? თბილისში რომ თამაშობთ, ამ ფაქტორს არ ითვალისწინებთ?

— რა თქმა უნდა, საკუთარ მოედანს ყოველთვის აქვს უპირატესობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ნაყოფიერი შეკრებით ეს უპირატესობა გავაბათილეთ. დანარჩენი თბილისში გამოჩნდება.

— იმუქრებით?

— არა, უბრალოდ, გამარჯვების იმედი მაქვს. საქართველოს ნაკრებზე საკმაო ინფორმაცია მაქვს. ისიც ვიცი, რომ ბოლო წლებია, რუსეთის ნაკრებს შინ და გარეთ ამარცხებს, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული, იმედია, ეს თბილისში მოხდება.

— იმედი ერთია, შესაძლებლობა — მეორე...

— რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ ოცნებებით არ ვართ. გამარჯვებაზე ფიქრის საშუალებას ჩემი გუნდის დღევანდელი მდგომარეობა მაძლევს. თავიდან ბოლომდე, თითქმის, დაბალანსებულები ვართ.

— უფრო რომელი რგოლის გეიმედებათ? როგორც ვიცით, შერკინება უკანა ხაზზე სუსტია.

— ეს იმიტომ, რომ უკანა ხაზის სპეციალისტი ვარ. ეს ხუმრობით, ისე კი, უკანა ხაზი, მართლაც, ძლიერია. ძირითადად, სულ შვიდკაცელები არიან. აქამდე რუსეთის შვიდკაცა ნაკრებს ვწვრთნიდი და ბევრი მათგანი სოლიდურ ტურნირებზე გამოვცადე. სხვათა შორის, საქართველოს შვიდკაცა ნაკრებიც დავამარცხეთ. მათი უმეტესობა ის ხალხია, რომლებმაც საქართველოსთან წაგება არ იციან და თქვენებთან გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდათ. ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. რაც შეეხება შერკინებას, ორი დღე „ბულზების“ მწვრთნელებმა და მორკინალებმა მაგრად ავარჯიშეს. „ბულზების“ შერკინება კი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ბაქის ბოთა, ხიო და ჟაკ კრონხეების, ვიქტორ მეტფილდის, რიჩარდ ბენდსის და დენი როსოუს ხსენებაც კმარა.

— გამოდის, „ქართული“ კომპლექსი აღარ გაქვთ?

— პირიქით, ამიერიდან ჩვენს მეტოქეებს უნდა ჰქონდეთ „აფრო-რუსული“ კომპლექსი.

ბაჩო სვანიძე

ავსტრალიის ღია პირველობა 2006

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $



AFP მელბურნიდან

სერენა უილიამსის ძლევით გახარებულმა დანიელა ჰანტუხოვამ, ახლა ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შემიძლიაო

ჰანტუხოვას სასერენო სეირი

მესამე წრე

კაცები

ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა, 8) — 6:3 6:2 5:7 1:6 6:4; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი, 11) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 18) — 6:3 6:3 6:3; **ტომი რობრედო** (ესპანეთი, 16) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 20) — 6:3 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა, 4) — იარკო ნიემინენი (ფინეთი, 26) — 2:6 6:3 6:2 7:5; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 7) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 31) — 7:5 7:6 6:0; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — დენის გრემელმაირი (გერმანია) — 6:2 6:1 6:2; **ენდი როდიკი** (აშშ, 2) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) — 6:1 6:2 6:2; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი, 2) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) — 6:3 6:2 6:1

ქალები

ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) — მარია კირილენკო (რუსეთი) — 6:4 4:6 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი, 14) — მარა სანტანჯელო (იტალია) — 6:3 6:1; **ვირჯინია რუანო-პასკუალი** (ესპანეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) — 6:3 6:3; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (ბელგია, 8) — ვირჯინია რაზანო (საფრანგეთი) — 6:4 6:1; **მარია შარაპოვა** (რუსეთი, 4) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — 6:0 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი, 17) — სერენა უილიამსი (აშშ, 13) — 6:1 7:6; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) — 5:7 6:2 6:4; **ნადია პეტროვა** (რუსეთი, 6) — მარია ელენა კამერინი (იტალია) — 6:1 6:2

ავსტრალიის ღია პირველობის ქალთა ტურნირს ახალი გამარჯვებული ეყოლება. მელბურნის კორტების შარშანდელი ტრიუმფატორი — სერენა უილიამსი ასპარეზობას მესამე წრიდან გამოეთიშა. ზოგს ეს შეიძლება ეწყინა, ზოგს კი გაუხარდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ვინუს უილიამსის ნათქვამი: „მე და ჩემი და ასი პროცენტით მზად ვართ“, მხოლოდ ქარზე ნასროლი სიტყვები ყოფილა. უფროსი და ასპარეზობას პირველივე წრიდან დაემშვიდობა, სერენამ კი ორი მატჩის მოგება მაინც მოასწრო.

დანიელა ჰანტოხოვამ, ალბათ, კარიერის საუკეთესო თამაში ჩაატარა და შავტუხა ამერიკელი უშანსოდ დატოვა. სლოვაკმა უილიამსს თითქმის ყველა კომპონენტში აჯობა, ერთი ეგ იყო, რომ ბრეიკ-პოინტების გამოყენების მაჩვენებელი ჰქონდა შედარებით დაბალი.

მეტოქისგან განსხვავებით, სერენამ ძალიან ცუდად ითამაშა. პირველი ორი ეტაპის გავლის შემდეგ, ისედაც ნათელი იყო, რომ ამერიკელი ოპტიმალური ფორმისგან შორს იმყოფებოდა, მაგრამ თუ ჰანტუხოვა ასე პირწმინდად შეძლებდა მის დაჩაგვრას, ნაკლებად თუ ვინმე წარმოიდგენდა. უილიამსმა თავიდანვე დაუთმო ინიციატივა თავის მეტოქეს, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში ვერაფრით დაალაგა დარტყმა მარჯვნიდან, რის გამოც, საერთოდ, ვერ უტევდა და დაცვაში იდგა იმ იმედით, რომ იქნებ ბურთი მეტოქის ნარხევარზე გადაეგდო და მას შეცდომა დაეშვა. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ჰანტუხოვამ ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა — ის ნაკლებად ცდებოდა, მუდამ თამაშის გამწვავებას ცდილობდა და შეხვედრის ტემპსაც კარნახობდა. რაც მთავარია, სლოვაკმა, რომელმაც ასეთი შემტევი ტაქტიკა აირჩია, ერთობ ცოტა შეცდომა დაუშვა — მხოლოდ 28.

ჰანტუხოვას ვერც იმან შეუშალა ხელი, რომ პირველი სეტის შუაწელზე წვიმა დაიწყო და, სანამ მოედანს გადახურავდნენ, ჩოგბურთელები იძულებულნი გახდნენ, გასახდელში დაბრუნებულიყვნენ. მერე სლოვაკმა ბოლომდე პირნათლად შეასრულა შეხვედრის წინ არჩეული ტაქტიკური მონახაზი.

პირველი სეტი დანიელამ ადვილად მიიყვანა მოგებამდე. აი, მეორე პარტიაში სერენამ კი გაიბრძოლა და ერთ მომენტში დაწინაურდა კიდეც, მაგრამ მაინც კარგად ჩანდა, რომ ვითარების ბატონ-პატრონი მაინც ჰანტუხოვა იყო. სლოვაკმა მხოლოდ ერთხელ დააყენა თავისი მოგება, ასე თუ ისე, ეჭვქვეშ, როცა უილიამსს საშუალება მისცა, სამი მატჩ-პოინტი გაენეიტრალებინა. თუმცა დანიელამ შემდეგ მაინც მოიკრიბა ძალა და ტაიბრეიკზე იმარჯვა.

„ეს მოგება ბევრს ნიშნავს ჩემთვის... საკუთარი ძალების რწმენა მომემატა. გამოდის, ნებისმიერი ჩოგბურთელის დამარცხება შემიძლია... ბევრი ასეთი მატჩი მქონია, როცა ტოპ-ჩოგბურთელი ლამის დავჯაბნე, მაგრამ ყოველთვის თითქოს რაღაც არ მყოფნიდა და აი, დღეს ეს შევძელი... ეს ძალიან მახარებს“.

შემდეგ წრეში სლოვაკი მარია შარაპოვას შეხვდება, რომელიც თამაშიდან თამაშამდე უმატებს და, კიმ კლაისტერსისგან განსხვავებით, ტრავმის არაფერი ეტყობა.რუსმა ამჯერად ელენა კოსტანიჩი იმსხვერპლა და მას მხოლოდ კინკილა გეიმი დაუთმო. მარია თავისი თამაშით მეტად კმაყოფილი ჩანდა:

„მგონი, კარგად შევეგუე ავსტრალიის პირობებს და უკეთესად ათამაშების მთავარ მიზეზს სწორედ ამაში ვხედავ... ის (კოსტანიჩი) საკმაოდ ეშმაკი მოთამაშეა, რის გამოც თავიდანვე ძალიან კონცენტრირებული ვიყავი... დღეს ყველაზე ცხელი დღე იყო და ამის გამო უფრო დაკვირვებით ვთამაშობდი, რათა ყველაფერი მალე მორჩენილიყო... კმაყოფილი ვარ, რომ ბოლომდე იოლად ვაკონტროლებდი თამაშს“.

ამინდით უკმაყოფილებას კიდევ ერთი ფავორიტი — ლინდსი დევენპორტი გამოთქვამდა, რომელსაც 2 საათი და 19 წუთი დასჭირდა მარია კირილენკოს წინააღმდეგობის დასაძლევად. ვეტერანმა ამერიკელმა, მართლაც, ბევრი იწვალა კორტზე და სიცხემაც გაურთულა საქმე, მაგრამ გადამწყვეტ სეტში მისმა კლასმა მაინც თავისი გაიტანა:

„ძალიან არასტაბილურად ვითამაშე... სიცხემ ძალიან შემიშალა ხელი. კიდევ კარგი, რომ თამაშის ბოლოსკენ ცა ცოტა მოიღრუბლა და ამოსუნთქვის საშუალება მომეცა... მესამე სეტში ისე ვითამაშე, როგორც თავიდანვე უნდა დამეწყო“.

სამაგიეროდ, დიდი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა კაცების ასპარეზობამ.

ენდი როდიკი სულ უფრო ალმაფრენით თამაშობს. როგორც ჩანს, ფედერერის გუშინდელმა გამოსვლამ ამერიკელზე ისე იმოქმედა, როგორც წითელმა ფერმა გავეშებულ ხარზე და მანაც შვეიცარიელის გრაფიკის ოდნავი გადაჭარბებით, სულ რაღაც 82 წუთში გამოუყვანა წირვა ჟულიენ ბენეტოს. როდიკი აშკარად უმატებს და თანამედროვე ჩოგბურთის მთავარი არტილერისტი თავის ყუმბარმტყორცნს (ამ შემთხვევაში, უფრო ეისმტყორცნს) სულ უფრო ხშირად და წარმატებით იყენებს. ამჯერად ამერიკელმა 17 ეისით „ასიამოვნა“ თავისი ფრანგი მოწინააღმდეგე.

„კარგად ვურტყამ, კარგად ვმოძრაობ კორტზე, ამიტომ რამდენიმე წრეს კიდევ გავივლი... მთავარია, რომ ვიგებ და ნორმალურ თამაშს ვაჩვენებ, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენ ხანში მოვახერხებ ამას“, — თქვა გახარებულმა როდიკმა.

მცირედი მოულოდნელობა კი ჯეიმს ბლეიკის უსუსური თამაში იყო ტომი რობრედოსთან. ესპანელმა, რომლისთვისაც ავსტრალიაში ორი წრეც კი ყოველთვის გადაულახავი ბარიერი იყო, ამჯერად ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და მეოთხე წრეში გააღწია, თან ისე, რომ წინასწარი გათვლებით, ჰარდზე მასზე გაცილებით უკეთესად მოთამაშე ბლეიკს შანსი არ დაუტოვა.

საინტერესო კიდევ ის მოხდა, რომ მელბურნში ხორვატიული წარმომადგენლობა განახევრდა. ივან ლიუბიჩიჩი არაფრით აპირებს შარშან აღებული ტემპის დაგდებას. აი, მარიო ანჩიჩი კი ვერ აჰყვა თავის თანამემამულეს და დავიდ ფერერთან საერთოდ ვერაფერი გააწყო.

ბახა ლომაშვილი

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

19 იანვარი

პიტსბურგი 2:4 რეინჯერსი
0:1 0:0 2:3
0:1 პრუხა (8), 1:1 ტარნსტრიომი (41), 1:2 პრუხა (47), 2:2 კროსბი (49), 2:3 როზშივალი (56), 2:4 ნიულანდერი (57)

ჩიკაგო 4:2 კოლორადო
1:1 3:1 0:0
1:0 კალდერი (1), 1:1 სვატოში (7), 2:1 დაუდი (24), 3:1 იაკუბოვი (28), 3:2 ლააქსონენი (30), 4:2 კალდერი (38)

ფინიქსი 6:3 ფლორიდა
3:1 2:1 1:1
1:0 ზ. მიხალეკი (6), 1:1 ჟულინა (8), 2:1 დოუნი (17), 3:1 დოუნი (19), 3:2 შტუმპელი (26), 4:2 სკაჩარდი (34), 5:2 მარა (39), 5:3 ნუინდაიკი (46), 6:3 სენდერსონი (54)

ვანკუვერი 4:1 ბუფალო
0:0 1:1 3:0
1:0 ბაროუსი (32), 1:1 პომინვილი (36), 2:1 ბაუმგარტნერი (45), 3:1 მორისონი (53), 4:1 რუუტუ (60)

სან ხოსე 2:3 ედმონტონი
0:2 1:0 1:0 0:0 0:1
ბულიტების სერიაში
0:1 ჰორკოფი (9), 0:2 სტეიოსი (11), 1:2 ჯ. ტორნტონი (25), 2:2 მ. მიხალეკი (49), 2:3 გადამწყვეტი ბულიტი: რ. სმიტი

ლოს ანჯელესი 8:6 ატლანტა
3:2 1:3 4:1
1:0 რობიტაილი (5), 2:0 ბრაუნი (5), 2:1 შტეფანი (8), 2:2 კოზლოვი (10), 3:2 ჯულიანო (16), 3:3 ჰოსა (25), 3:4 კოვალჩუკი (31), 3:5 ბულტონი (31), 4:5 კოსტოპულოსი (36), 5:5 ნორსტრიომი (42), 6:5 რობიტაილი (45), 6:6 ჰოსა (52), 7:6 ჯულიანო (56), 8:6 რობიტაილი (60)

ვაშინგტონი 5:4 სენტ ლუისი
2:2 0:1 2:1 0:0 1:0
ბულიტების სერიაში
1:0 კლაიმერი (4), 1:1 იანგი (10), 2:1 ოვეჩკინი (10), 2:2 უაიდმენი (19), 2:3 სინჯერი (23). 3:3 კლარკი (4:3), 4:3 უილსი (44), 4:4 მაკამონდი (56), 5:4 გადამწყვეტი ბულიტი: პეტინგერი

ფილადელფია 2:5 ბოსტონი
0:1 1:3 1:1
0:1 გრინი (6), 0:2 ბერჟერონი (22), 1:2 კაპანენი (25), 1:3 შტურმი (29), 1:4 გრინი (37), 2:4 განიე (46), 2:5 პრიმო (54)

ოტავა 3:4 ანაჰაიმი
2:0 0:3 1:0 0:0 0:1
ბულიტების სერიაში
1:0 სმოლინსკი (3), 2:0 ივსი (16), 2:1 კუნიცი (21), 2:1 კუნიცი (21), 2:2 სელიანე (29), 2:3 მარჩანტი (31), 3:3 ჰიტლი (58), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: კუნიცი

კაროლინა 4:3 აილენდერსი
2:1 1:1 1:1
1:0 სალივანი (6), 1:1 ელიაში (19), 1:2 ლანგენბრუნერი (32), 1:3 მარშალი (34), 2:3 ტიმონენი (38), 3:3 ერატი (50), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: კოზლოვი



AFP გაზეთიდან

ალექსანდრ ოვეჩკინი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეჟელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge